

საბა მეტრუველი



გაქოლოწვანი

საბა მეტრეველი

გ ა მ ო ლ ო ც ვ ა ნ ი

თბილისი
2017

SABA METREVELI

THE DISENCHANTMENT SPELLS

**TBILISI
2017**

წიგნში შესული და გამოკვლეულია ის გამო-
ლოცვები, რომლებიც ავტორმა ათი წლის
ასაკში ბებიისგან ისწავლა და თავად იქცა შე-
მლოცველად. ნაშრომი საინტერესოა იმითაც,
რომ მკვლევარი აღადგენს ყველაფერს, რაც
თავად გადახდა, როგორც რიტუალის წარ-
მმართველს. სამეცნიერო აპარატთან ერთად,
გამოლოცვანში გაცოცხლებულია ყველა ნიუა-
ნსი თავისი კურიოზებით.

წიგნი დაიწერა მათვის, ვისაც აქვს ინტე-
რესი თანამედროვე ინფორმაციული ტექნო-
ლოგიების ბუმში გაქრობის პირას მდგომი ამ
უანრის მიმართ და ადვილად არ ეთმობა ქარ-
თული ფოლკლორის ეს იშვიათი სახეობა.

რედაქტორი

გამომცემლობა “მწიგნობარი”

ამირან არაბული

ISBN 978-9941-465-95-6

შინაარსი

ტერმინთა შესახებ -----	6
გამოლოცვების ფორმა და	
სტრუქტურა -----	15
აპრაკადაპრა -----	29
გამოლოცვანის პოეტიკა -----	33
პაგანიზაცია -----	44
აპოკრიფული ლოცვები -----	52
გამოლოცვა, როგორც	
რიტუალი -----	62

გამოლოცვანი:

• ნათვალებისა -----	81
• მოფურჩხულისა-----	84
• უჟმურისა-----	87
• წელკავისა -----	88
• ნაღძუებისა -----	89
• ორსულისა -----	90
• სირსვილისა -----	91
• ბლიერისა -----	92
• ჭვალისა -----	93
• ღორის ხოკისა -----	94

• წყლისა - I ვარიანტი -----	95
• წყლისა - II ვარიანტი-----	96
• თვალის ტკივილისა -----	98
• ნაცოხრისა - I ვარიანტი -----	99
• ნაცოხრისა - II ვარიანტი -----	100
• ნაცოხრისა - III ვარიანტი-----	101
• შაკიკისა - I ვარიანტი-----	102
• შაკიკისა - II ვარიანტი-----	103
• დამწვრობისა-----	104
• გველის ნაკბენისა-----	105
• შეშინებულისა-----	106
 ტყვიის გადადნობა-----	109
შენიშვნები და კომენტარები -----	111
ბოლოთქმის მაგიერ -----	127
Summary -----	146
დამოწმებანი -----	148

ტერმინთა შესახებ

ვიდრე შელოცვების სტრუქტურას განვიხილავდეთ, მანამ მოკლედ თავად ტერმინის შესახებ. თავის დროზე თამარ ოქროშიძემ ქართულ ბიბლიაში, კერძოდ, იერემიას წინასწარმეტყველებაში, მიაკვლია შელოცვის ნაცვალს, ეკვივალენტს, ტერმინ “სახრვას”: “რამეთუ აპა ესერა მოვავლინე თქუენ ზედა გუელნი მომსრველნი, რომელთა მიმართ არა არს **სახრვად** და გიკბენდნენ თქუენ” (იერ. 8, 17). ეს ფორმა დასტურდება როგორც გელათურ ნუსხაში, ისე ბაქარის ბიბლიაშიც და მცხეთურ ხელნაწერშიც. სახრვა შელოცვის პროცესს აღნიშნავს და ხაზს უსვამს ამ უანრის მაგიურ ბუნებას (ოქროშიძე 1955: 175-176).

რა თქმა უნდა, ძველ ქართულში “სახრვა”, ძირითადად, ნიშნავს “გრძნეულებას” და “სახრული” - გრძნეულს (სარჯველაძე 2001: 194), ამასვე ადასტურებს ილია აბულაძის “ძველი ქართული ენის ლექსიკონიც”: “სახრვა - მისნობა, კუდიანობა” (აბულაძე 1973: 385). ცნობილია, რომ “სახრვას” ორი მნიშვნელობა ჰქონდა და, გრძნეულებასთან ერთად, შელოცვასაც

ნიშნავდა (გაგულაშვილი 1986: 52). სულხან-საბას მიხედვით, “სახრვა მოგობის შელოცვაა” (ორბელიანი 1993: 78).

თავად “შელოცვა” განმარტებულია სიტყვებად, “რომელთა წარმოთქმაც თითქოს განდევნის, დათრგუნავს ავ სულს და ავადმყოფს გამოაჯანსაღებს” (ლექსიკონი 1990: 1048). ეს სიტყვა დამოწმებულია “მამათა სწავლანში”, რომელიც მეათე-მეთერთმეტე საუკუნეების ხელნაწერების მიხედვით 1955 წელს გამოსცა ილია აბულაძემ. ამავე ძეგლში გვხვდება “შემლოცველიც”.

ლოცვა იმთავითვე უკავშირდება საეკლესიო მღვდელმსახურებას. მისგან ნაწარმოები ზმნა “ლოცავს” გულისხმობს, “ღმერთს ავედრებს, სთხოვს ვისიმე სიკეთეს, (ბედნიერებას, სიკეთეს, გამარჯვებას...)” (ლექსიკონი 1990: 603). სულხან-საბა ასე განმარტავს: “ლოცვა არს გონებით ღმრთისა მიმართ აღსვლა, ანუ თხოვა ჯეროვანი ღვთისაგან. ლოცვა არს ვედრება... ცრემლიანითა თვალითა და სიტყვითა” (ორბელიანი 1991: 423). ქართულში გვაქვს “ლოცვიდან” ნაწარმოები სიტყვები და მათგან მიღებული ზმნური ფორმები:

გადალოცვა // გადაულოცავს - თანამდებობის გადალოცვა, თანამდებობას გადაულოცავს, ანუ გადააბარებს (ლექსიკონი 1990: 181). ასევე, გვაქვს ბატონების გადალოცვა, ანუ ბატონების სხვისთვის გადაცემა-გადაპრძანება სახლიდან; შესაბამისად, **გადმოლოცვა** იქიდან აქეთ;

დალოცვა // დალოცავს - სიკეთეს, კარგად ყოფნას უსურვებს ან საეკლესიო წესის შესრულებით დალოცავს; სულიერ ამაღლებასა და კეთილდღეობას, ორსავე სოფელსა შინა სიხარულს შეავედრებს უზენაესს;

მილოცვა // მიულოცავს - ნარმატებას, დღესასწაულს მიულოცავს, კეთილ სურვილს გამოუცხადებს. შესაბამისად, **მოლოცვა** // მოულოცავს აქაც ზმინისწინი იმავე ფუნქციას ასრულებს, მიმართულებას შეცვლის;

ჩამოლოცვა // ჩამოილოცა - არის ღმრთისმ-სახურებაში მღვდლის უკანასკნელი ლოცვა, რომლითაც სრულდება მსახურება. ჩამოლოცვაში დაცულია წმინდანთა მოხსენიების იერარქიული პრინციპი. სვიმეონ თესალონიკელი წერს: “მღვდელი მსახურებას ასრულებს ლოცვით, რომელსაც ჩამოლოცვა ეწოდება, რადგან ყველას არ აქვს უფლება, დაუტეოს

საღმრთო საგალობლები და წავიდეს; ამისა-
თვის საჭიროა მღვდლის ლოცვა-კურთხევა;
ისევე, როგორც მღვდელმა დაიწყო მსახურება,
სწორედ იგი ამთავრებს კიდევაც მას და
დაბეჭდავს ლოცვით. მღვდელი მოუწოდებს
ქრისტეს – ჭეშმარიტ ღმერთს, მისი წმიდა დე-
დის და ყოველთა წმიდათა მეოხებით, სთხოვს
შეგვიწყალოს და გვაცხოვნოს. რადგან ჩვენ
თვითონ არაფერი გაგვაჩნია, არამედ ყველა-
ფერი იქიდან მივიღეთ, რომ ქრისტე, თავისი
სახიერებით, განკაცდა, ხოლო მისი დედა და
მისი წმინდანები ჩვენი მეოხნი არიან ღვთის წი-
ნაშე” (ტერმინები 2011:);

წამოლოცვა - ძირითადად, დიალექტში
გვხდება. “წამეილოცა”, ანუ ერთი-ორი სალო-
ცავი სიტყვა თქვა, “გედეიპუტუნა // ჩეიპუტუ-
ნა რაღაც” - იტყვიან იმერეთში;

შელოცვა // **შეულოცავს** - განმარტებით
ლექსიკონებში ცრურწმენას უკავშირდება. შე-
ლოცვის სიტყვები დათრგუნავს, განდევნის ავ
სულს და ავადმყოფს გამოაჯანმრთელებს. შე-
ლოცვა “გულისხმობს შერითმულ სიტყვებს,
რომელთა ძალაც ავადმყოფს გამოათავისუფ-
ლებს ავი სულებისაგან” (ლექსიკონი 1990:
1076). “შეულოცავს” ზმნაში “შე”- ზმნისწინი

მაუნიკებელია იმისა, რომ მოქმედება აქედან იქით მიმდინარეობს. მაგიური სიტყვები, ლოცვითი ფორმულები შედის მასში (ავადმყოფ ადამიანში, საქონელში, საგანში...). ზ. კიკნაძე ასე სვამს შეკითხვას: “რა ნიუანსს მატებს ამოსავალ სიტყვას - ლოცვას წინდებული შე-?... შელოცვის ძალით ადამიანი ცდილობს ზემოქმედება მოახდინოს არსებათა ნებაზე, იძულებით დაიყოლიოს თავის სასიკეთოდ (კიკნაძე 2008: 216). “შელოცვა”, როგორც მ. ჩიქოვანი წერს: “ახალ ტერმინად ჩანს მე-14 საუკუნის H-1331 ხელნაწერში, რომელიც ნათარგმნი ძეგლებისაგან შედგება” (ჩიქოვანი 1956: 289);

გამოლოცვა // გამოულოცავს - ხშირად გამოიყენება შელოცვის მნიშვნელობით. ის ასეა განმარტებული: “შელოცვით იმოქმედებს ვინმეზე ან რამეზე. ვითომდა ავსულებს განუდევნის და განკურნავს” (ლექსიკონი 1990: 249). ტერმინი “გამოლოცვა”, როგორც მ. ჩიქოვანი წერს, გვხდება მე-17 საუკუნის “კურთხევანის” ერთ ნუსხაში: “შემდგომად მნუხრისა გამოლოცვისად” (ჩიქოვანი 1956: 289), თუმცა ამ კონტექსტში მისი მნიშვნელობა არაა შელოცვის ეკვივალენტი.

იმერეთში ხშირად მესმოდა: მოდი, ერთი, გამომილოცე; შეშინებულს გამოულოცე; ნათვალების გამოლოცვა ხომ იცი? გამოალოციე უკვე?! და მისთ. გარდა ამისა, რადგანაც გამოლოცვის მნიშვნელობაში გააქტიურებულია პროცესი, მოქმედება შიგნიდან გარეთ, იქიდან აქეთ, უფრო ზუსტად ასახვს სამკურნალო ლოცვის ფუნქციას, რომ სწეულება გამოვიდეს, გამოიდევნოს ორგანიზმიდან, სხეული დატოვოს მავნე ავმა სულმა. ამასთანავე, რადგან ჩემმა იმერელმა ბებიამ ჩამანერინა და მასნავლა ეს შელოცვები, წიგნს გამოლოცვანი (“ლოცვანის” ანალოგით) დავარქვი, ანუ ის სახელი, რომელიც უფრო ზუსტად და სრულად გამოხატავს სამკურნალო შელოცვის სპეციფიკას.

როგორც ცნობილია, არსებობს შელოცვების კლასიფიკაციის რამდენიმე სახეობა. მაგალითად, მიხეილ ჩიქოვანი გვთავაზობს ასეთ სქემას: კოსმოგონიური, სამკურნალო და სამეურნეო შელოცვები (ჩიქოვანი 1975: 427), თუმცა იგი თემატიკის მიხედვით სხვა ტიპის შელოცვებსაც განარჩევდა: სატრანიალო, საოჯახო, სამოგზაურო და სხვ. (შდრ. ხაჭაპურიძე

1998: 322); შელოცვა შესაძლებელია ნადირისაც, მისი პირის შეკვრა, რომ პირუტყვი არ შეჭამოს (მაგალითად, შელოცვები მგლის პირის შეკვრისა ან გველის გაშეშებისა). ასეთ ვარიაციებში მოქმედების მიმართულება არის საიქეთო, აქედან იქით, ზემოქმედება სუბიექტიდან ობიექტისკენ. გამოლოცვა კი ყოველთვის გულისხმობს სააქეთო მიმართულებას, გამოდევნას, შიგნიდან გამოთავისუფლება-გამოსვლის მნიშვნელობით. რადგან “უძველესი გაებით, დაავადებას იწვევს უხილავი ძალა, “სული”, რომელიც სხეულში დაუკითხავად “ჩასახლდა”. განკურნება მაშინ მოხდება, როცა “სულს” ვაიძულებთ, მიატოვოს ორგანიზმი” (ჩიქოვანი 1956: 288).

გამოლოცვაში სამი რამ არის დომინანტური და გაუთიშველი:

- სიტყვა;
- მოქმედება (რიტუალი);
- ჩურჩული (რ. ხაჭაპურიძე იმასაც წერს, რომ “შელოცვას წარმოთქვამდნენ ხმა-მაღლა ან ჩურჩულით” (ხაჭაპურიძე 2006: 375), უფრო მეტიც, ის ლოცვების კლასიფიკაციისას ცალკე გამოყოფს “ხმამაღლა და ჩურჩულით

წარმოსათქმელ ლოცვებს”, თუმცა არ განმარტავს ხმამაღლა შესასრულებლის სპეციფიკას (ხაჭაპურიძე 1998: 322). ჩვენი აზრით, ამ სახეობის გამოლოცვა უფრო თანამედროვე მოვლენა უნდა იყოს, როგორც ზოგჯერ თავად მევულოცავდი ხმამაღლა და მკვეთრად. რაც უნდა დატვირთული იყოს გამოლოცვა დაშინებისა და ბრძანების ფორმულებით, ძირითადად, მაინც ხმადაბლა და ბუტბუტით სრულდება. გასათვალისწინებელია ისიც, რომ “ტექსტის გარკვევით და ხმამაღლა წარმოთქმას ტაბუ ჰქონდა დადებული იმ რწმენის საფუძველზე, რომ სიტყვათა გახმოვანება დაუკარგავდა მას მაგიურ ძალას” (ქურდოვანიძე 2008: 100). ამიტომ, ჩურჩული, ბუტბუტი შელოცვის აუცილებელი მოთხოვნაა. ჩემს ბავშვობაში ყველა შემლოცველი (და, უმრავლეს შემთხვევაში, მეც) ხმადაბლა, მხოლოდ თავისითვის გასაგონად ამბობდა, დუდუნებდა. ეს იმითაც აიხსნება, რომ “შელოცვის ჩურჩულით წარმოთქმა ერთ-ერთი ძირითადი დმახასიათებელი მხარეა მაგიური მოქმდებისათვის... ის ტყვეობაში აქცევს ავადმყოფს და ზემოქმედებს მასზე, როგორც ჰიპნოზის ერთ-ერთი ფორმა” (გაგულაშვილი

1986: 50, 109). ხმამაღლა შელოცვა მოდერნიზებული, თეატრალიზებული სახეობაა ან უფრო სამეურნეო შელოცვების დროს თუ შეიძლება წარმოიდგინოს კაცმა, ვიდრე - გამოლოცვისას. მართალია, გამოლოცვებში გვხვდება დაშინების, განდევნის ბრძანებითი ფორმები, მაგრამ ასეთ დროს შემლოცველი ოდნავ აუწევდა ტონს, თუმცა ეს მაინც არ იყო ხმამაღლა, მთელი შემართებით, დინამიკური მახვილებით წარმოთქმული.

გამოლოცვების ფორმა და სტრუქტურა

ჩვენ მიერ წარმოდგენილი გამოლოცვები “არც პროზაა პირდაპირი გაგებით და არც ლექსი, იგი სპეციფიკური ჟანრია, რომელიც განსაზღვრულია სპეციალური ფუნქციითა და შესრულების წესით” (ბარდაველიძე 1979: 23), მაგრამ, მართლაც, “პოეზიაა თავისი შინაგანი რიტმით, ექსპრესიით, კეთილხმოვანებით და, გნებავთ, სახეობრივი სისტემით” (გველი მოვკალ... 1992: 3). ამიტომაც ლექსის ფორმით ვძეჭდავთ. ჩვენს სასარგებლოდ მეტყველებს ამ გამოლოცვების რიტმულ-ინტონაციური სისტემა, ორგანიზებულობა, გამოკვეთილი რითმებიცა და ალიტერაციებიც, წმინდა ევ-ფონიური მარგალიტები და გამეორება, როგორც პოეტური ხერხი, - ძირეული და თავდაპირველი ხერხი შელოცვებისა (ბარდაველიძე 1979: 26).

შელოცვები მაგიური პოეტური აზროვნების (ხშირად ორაზროვნების) წრიული პროცესია, რომელიც გვესაუბრება აზროვნების რაღაც უცნაურ წესზე. თვითონ ეს სიტყვა ჩვენში იმთავითვე დაუკავშირდა წარმართულს (რუ-

სული ფოლკლორისტიკის გავლენა). ალექსან-დრე ხახანაშვილი წერდა: “შელოცვანი ძველი წარმართული ლოცვაა, რომლითაც მიმართავ-დნენ ღვთაებებს მათი წყალობის გამოსათხოვ-რად ან მათი ბოროტი მოქმედების მოსაგერი-ებლად” (ხახანაშვილი 1904: 87). თ. ბეგიაშვი-ლის მიხედვით, “შელოცვა არის მაგიური ხასი-ათის ხალხური პოეტური შემოქმედება” (ბეგი-აშვილი 1941: 23). მიხეილ ჩიქოვანმა შელოცვა მისნობის კონტექსტში განიხილა: “შელოცვა სიტყვიერი ფორმულაა, რომელსაც სამისნო დანიშნულება აქვს” (ჩიქოვანი 1956: 287). ილია გაგულაშვილის აზრით კი “შელოცვა არის მტკი-ცედ ჩამოყალიბებული უტილიტარული დანიშ-ნულების, მაგიური მნიშვნელობის მქონე სიტყ-ვიერი ფორმულა... მას ესთეტიკური ფუნქცია არასოდეს ჰქონია და წარმოადგენს ხალხური პოეტური შემოქმედების უძველესს ძეგლს” (გაგულაშვილი 1986: 62).

შელოცვა-გამოლოცვის სტრუქტურა აუცი-ლებლად გულისხმობს ორ სუბიექტს: შემლოც-ველსა და მას, ვისაც ულოცავენ. ამიტომ, საინ-ტერესოდ გვეჩვენება მათი შეგრძნების, ფსი-ქო-ემოციური თავისებურებების განსაზღვ-

რაც. სიტყვის მაგიური ძალის მოლოდინშია მინიმუმ ორი მხარე. ეს მოლოდინი არ უნდა იყოს ხანგრძლივი. შელოცვის დამთავრების შემდეგ უნდა დადგეს ახალი რეალობა, - სიტყვა საქმედ უნდა იქცეს. შელოცვის პროცესს ახლავს იდუმალების ესთეტიკა. გარინდებაში, სტატიკაში უნდა გააქტიურდეს სიტყვის მაგიური ძალა, უნდა განიდევნოს ავი სული, უნდა დადგეს განკურნების სიხარულის მოლოდინი. შელოცვის არარეალისტური მასშტაბი საკმაოდ დიდია. ფსიქოლოგიური განწყობა გადამწყვეტი ფაქტორია მაშინ, როცა ადამიანს ულოცავენ. სულის სიმშვიდე და გაურკვევლობა-დაბნეულობა ახლავს ამ პროცესს.

რაც შეეხება სამკურნალო შელოცვების სტუქტურას, იმთავითვე უნდა უთქვას, რომ ყოველი მათგანისთვის საერთოა:

1. **შესავალი ნაწილი, დასაწყისი ლოცვითი ფორმულა,** ე.ნ. პროლოგი (შეხმიანება ყოვლადწმინდა სამებასთან) “სახელითა ხვთითა, მამითა, სულითა წმინდითა” (3 - ჯერ). ასეთი დასაწყისი უშუალოდ ქადაგების დაწყების წინ ქრისტიანობაში გავრცელებული დასაწყისის ანალოგიაა: “სახელითა მამისათა და ძისათა და

სულისა წმიდისათა”. ბუნებრივია, რომ “სამების ჩართვა ტექსტში აძლიერებს შელოცვის ძალას, აღვივებს შესალოცი პირის რწმენას” (ქურდოვანიძე 2001: 114);

2. ჩვენი ყველა გამოლოცვისთვის, ამასთანავე, საერთოა **დასასრულის ფორმულაცი**, ე.ნ. ეპილოგი, რომელშიც შემლოცველი სთხოვს უზენაესს, რომ მისი მადლითა და ბრძანებით, ასევე, შემლოცველის ლოცვით, განკურნოს ავადმყოფი: “ღმერთო, არგე ლოცვა ჩემი, / შეეწიე მადლი შენი, / მოუხდინე ლოცვა ჩემი, / ბრძანებაა ღვთის და / ლოცვა არის ჩემი!” (3 - ჯერ);

3. გამოლოცვებს ახასიათებს “**ეპიკური დასაწყისი**”, ეპიკური შესავალი, რომელიც შელოცვის ე.ნ. “ექსპოზიციურ ნაწილს ქმნის” (ი. გაგულაშვილი):

“ალისასას, მალისასას, / მე გილოცავ თვალისასას” (გათვალისწინებულისა);
“გულო, შინა-შინა, / გულო, რამ შეგაშინა?!”
(შემინებულისა);

“ელი ელობდა, მელი მელობდა, / ნითელხუ-
ცესა ხარი გეება” (დამწვრობისა);

“დიდი, დიდი, დიდებული, / ზედ სახტარი
შენებული” (ჭვალისა);

4. ჩვენს გამოლოცვებში შეგვხდება ქა-
რთული შელოცვებისთვის დამახასიათებელი
ჩამოთვლის ხერხი:

“მე გილოცავ თვალისასას, / თვალის ღა-
ლობისასა, / შინაურისასა, გარეულისასას;

თვალბოზისა, თვალქურდისა, / თვალამ-
პარტავანისა;

ნითელნვერა კაცისა, შავნვერა კაცისა,
ჭრელთვალა ქალისა, ჭრელთვალა კაცისა,
შავთვალა ქალისა, შავთვალა კაცისა” (გათ-
ვალულისა);

“თავში იყო, თავში გამოდი,

ტანში იყო, ტანში გამოდი!

თავი გამეიარე, ტანი გამეიარე,

ხელის ფრჩხილი გამეიარე,

ფეხის ფრჩხილი გამეიარე,

ადექით და კარი გეიარეთ!

იქ არი დედანი თქვენი,

იქ არი მამანი თქვენი,
იქ არი ძმანი თქვენი,
იქ არი დანი თქვენი”(მოფურჩხულისა);

“მოხტომილო შვილიანო,
მოხტომილო ძირიანო,
მოხტომილო ნატამალიანო!
მაინც ნუ შეშინებულხარ, გულო!
მაინც ნუ შეშინებულხარ, ფერო!
მაინც ნუ შეშინებულხარ, ძვალო!
მაინც ნუ შეშინებულხარ, ბილო!
გული გულთან იყოს, ფერი ფერთან იყოს,
ძვალი ძვალთან იყოს, ბილი ბილთან იყოს!”
(შეშინებულისა).

ჩვენს სამკურნალო შელოცვებში ჩამოთვ-
ლა ზოგჯერ აგებულია დღიური სისტემის
პრინციპზე. ეს წესი გვხდება, მაგალითად,
გათვალისწის გამოლოცვაში:

“ორშაბათს მოცეცებული ხარ, მაინც მოხ-
ტომილი ხარ!
სამშაბათს მოცეცებული ხარ, მაინც მოხ-
ტომილი ხარ!

თოხშაბათს მოცეცებული ხარ, მაინც მოხ-
ტომილი ხარ!

ხუთშაბათს მოცეცებული ხარ, მაინც მოხ-
ტომილი ხარ!

პარასკევს მოცეცებული ხარ, მაინც მოხ-
ტომილი ხარ!

გაბათს მოცეცებული ხარ, მაინც მოხტომი-
ლი ხარ!

კვირას მოცეცებული ხარ, მაინც მოხტომი-
ლი ხარ!"

ასეთივე პრინციპი უფრო სრულად და ყოვ-
ლისმომცველადაა წარმოდგენილი შეშინებუ-
ლის გამოლოცვაში:

"ორშაბათს შეშინებულხარ? - მაინც ნუ შე-
შინებულხარ, გულო!

სამშაბათს შეშინებულხარ? - მაინც ნუ შე-
შინებულხარ, გულო!

თოხშაბათს შეშინებულხარ? - მაინც ნუ შე-
შინებულხარ, გულო!

ხუთშაბათს შეშინებულხარ? - მაინც ნუ შე-
შინებულხარ, გულო!

პარასკევს შეშინებულხარ? - მაინც ნუ შეში-
ნებულხარ, გულო!

შაბათს შეშინებულხარ? - მაინც ნუ შეშინებულხარ, გულო!

კვირას შეშინებულხარ? - მაინც ნუ შეშინებულხარ, გულო!

დღლას შეშინებულხარ? - მაინც ნუ შეშინებულხარ, გულო!

სადილზე შეშინებულხარ? - მაინც ნუ შეშინებულხარ, გულო!

შუადღეზე შეშინებულხარ? - მაინც ნუ შეშინებულხარ, გულო!

სამქრობაზე შეშინებულხარ? - მაინც ნუ შეშინებულხარ, გულო!

ვახშმობაზე შეშინებულხარ? - მაინც ნუ შეშინებულხარ, გულო!

შუაღამეს შეშინებულხარ? - მაინც ნუ შეშინებულხარ, გულო!"

5. შელოცვების ძირითად ნაწილში საუბარია იმ სენზე, უძლურების გამომწვევი იმ ძალებზე, რომლებმაც შეიძყრეს ავადმყოფი. ამდენად, აქ ხშირია დაშინებისა და მუქარის შინაარსის შემცველი სიტყვები, ანუ **განდევნა-დაშინების ფორმულები.** "შელოცვის ტექსტი ითვალისწინებს დაავადებაზე ძალადობის

აქტს. შემლოცველი წმინდანის პირით ემუქრება ავადმყოფობას” (ქურდოვანიძე 2008: 103):

“თხილისა ჯოხი მიჭირავს, / გველისა სატკაცუნებელი” (გველის ნაკენისა);

“მე მღოცველი ქალი ვარ, დაგჩეხავთ წალდით, ნაჯახით!

საითაც უკეთესი ადგილი მოძებნოთ, იქითკენ ნადით!” (მოფურჩხულისა);

“არა, მამაძემასულმა არ გავიშვას ძვალის სახრავად, ბილის საჭმელად. / ჩაგავდებ ქვაბსა კარვალისა, / შემოგვიდებ ცეცხლსა ნამთოსასა. / დაგწვავ... 365 ნელინადს!” (გათვალისწილისა).

აუცილებლად უნდა ითქვას, რომ ამ ტიპის ფორმულები მომდინარეობს ქრისტიანული წეს-განგებიდან, კერძოდ, ნათლობის საიდუმლოდან. კათაკმევლად დადგენისა და “შემდგომად კათაკმეველთა დადგენის” ლოცვებში ვკითხულობთ:

“გეშინოდეს ღმრთისა (ეშმაკო - ს.მ.), რომელი ზის საყდართა... გამოვედ და განეშორე, გამოვედ და წარვედ დაბადებულისა ამისგან... განვედ კაცისგან ამისა და ნულარა შეხუალ

ამისსა და განეშორე” (დიდი კურთხევანი 2002: 94-95).

6. გამოლოცვების ძირითად ნაწილში გაის-მის **წყევლაც**, რომლის მაგიური ფორმულებით შემლოცველი თითქოს შეაჩვენებს ავადმყო-ფის შემანუხებელ ავ სულებს. როგორც ცნო-ბილია, წყევლა-ლოცვის “მაგიურ ფორმულას ხალხი ყოველთვის განსაკუთრებულ მნიშვნე-ლობას ანიჭებს და მისი უტყუარობის უამრავ ნიმუშს ეგვიპტის პირამიდების აგებიდან დღემდე ჭარბად ვხვდებით” (ბაყაშვილი 2003: 33). ამიტომაც მასწავლიდნენ ბავშვობისას, ვინც დაგწყევლის უთხარი: პირიდან გამოგივი-დეს, ცხვირში შეგივიდესთქო (ან წყევლა მაწყევარსო). წყევლის ფორმულებით განსა-კუთრებულად გამოირჩევა გათვალისწილის გა-მოლოცვა:

“დასწყევლოს 356-მა ნმინდა გიორგიმ, /
112-მა ხატმა-ჯვარმა, / გააქროს, გააწყალოს...
გლახა თვალით შემხედავი, / გლახა სულით
შემხედავი, / გლახა გულით შემხედავი. / გევი-
და სიპზე, / გასკდა ჭიპზე, / მეითხარა ორი ძი-
რი ბალი, / ნამოუვარდა ორი კაკალი თვალი. /
ასკილი, ღოღო-მაყვალი, / დამპალი გველი და

ბაყაყი, / გახურებული კერია / გულზე ტენია, /
სამი კოდი ... გულზე ასვია, / სამი კოდი ღვიერო
გულზე აყრია / მის გულსა და მუცელს, / რამა
კაცმა და ქალმა გათვალა!” (გათვალისწისა).

“გახტნა მგელი, / განყდა გველი, / სირს-
ვილს ამოუვარდა / ფეხვი და ძირი!” (სირსვი-
ლისა);

“დასწყევლა ნმინდა გიორგიმ, / გეიპარა დი-
ლასაო” (შაკიკისა).

აუცილებელია იმის აღნიშვნაც, რომ წყევ-
ლა ჩვენს გამოლოცვებში თან მოსდევს გან-
დევნა-დაშინების ფორმულებს. ფაქტობრი-
ვად, მისი გაგრძელებაა, უფრო სწორად, ლო-
გიკური დასასრული. წყევლის ფორმულით
შემლოცველს საბოლოო “ვერდიქტი” გამოაქვს
ავი სულებისადმი.

7. ნმიდა მეფისა და ნინასნარმეტყველის,
დავითის, ფსალმუნები, პირობითად, სამ ჯგუ-
ფად იყოფა: ქებითი, ლოცვა-ვედრებისა და სა-
მოძღვრო-დამრიგებლური. შელოცვების შინა-
არსობრივი სტრუქტურა, პრაქტიკულად,
გამორიცხავს სამივე მათგანს. გამოლოცვაში

არ შეიძლება ისმოდეს რომელიმე საკრალური ძალის ოდა, ჰიმნი; არც სამოძღვრო-დამრი-გებლური სენტენციები ანტერესებს შემ-ლოცველს და, ზოგადად, შენიშნულია ისიც, რომ “რაიმე თხოვნა-ვედრებაც გამორიცხუ-ლია” (კიკნაძე 2008: 216). თუმცა, მათში მაინც ისმის თხოვნაც და ვედრებაც მლოცველისა. გარდა იმისა, რომ ყოველი შელოცვის დასას-რული “ლმერთო, არგე ლოცვა ჩემი, / შეეწიე მადლი შენი, / მოუხდინე ლოცვა ჩემი, / ბრძა-ნებაა ღვთის და / ლოცვა არის ჩემი!” პირდაპი-რი თხოვნაა უფლის მიმართ, რათა შეეწიოს და მლოცველის თქმული სიტყვის ძალით განკურ-ნოს დაავადებული. თავად გამოლოცვების ძი-რითად ნაწილშიაც გაისმის ვედრების შემცვე-ლი ინტონაციები:

“ექვსო თავნო მოციქულნო: / პეტრე, პავ-ლეს, მანთეს, მარკოს, / ლუკა და ივანე,

სადაც იქნეს მანი-უუმური / გაქრეს და გა-ნიავდეს!” (უუმურისა);

“წმინდა გიორგო, უძველე, / ხატო და გელა-თისაო!” (წელკავისა).

გამოლოცვებში მოუხმობენ ეკლესიის წმინდანებს, მოციქულთა თავნის, პეტრესა და პავლეს, წმინდა სახარების ავტორებს, მახარებლებს: მათეს, მარკოზს, ლუკასა და იოანეს, აგრეთვე, დიდმოწამე გიორგის, რათა განიკურნოს დაავადებული, განიდევნოს დაავადებები.

8. გამოლოცვებში, როგორც წესი, შეგვხვდება **შეუძლებლობის ფორმულებიც**:

“სირსვილი ხნავდაყანასა,
ნაფუძველსა და ჭალასა,
მგელი გეება ხარადა,
გველი - აპოურადა” (სირსვილისა).

დამწვრობის ამ გამოლოცვაში კი თავად შემლოცველი გამოთქვამს გაკვირვებას შეუძლებლის გამო:

“ელი ელობდა, მელი მელობდა,
ნითელხუცესა ხარი გეება,
ზღვა ხნავდა, ქვიშა თესავდა.
ვის გოუგონია ზღვა ხნული, ქვიშა თესილი?!” (დამწვრობისა).

9. გამოლოცვების სტრუქტურაში ორგანულადაა ჩასმული ე.წ. **რჩევა-დარიგების** ფორმულები, რომლებიც არაა ჩვენ მიერ ზემოთ ნახსენები სამოძღვრო-მოთხრობითი შინაარსისა. რჩევა-დარიგება აქ ეხება მკურნალობის წესს, მაგალითად: “შემლოცველი რჩევა-დარიგებას მისცემს და გაატანს სამყურა ბალახს” (შიომვილი 1994: 184). ჩვენს გამოლოცვებშიც გვხვდება ასეთი ფორმულები:

- “რა არის მისი ნამალი?
- ია და ვარდი, ქალის რძე,
ნითელი ძაფი და ნემსი” (თვალის ტკივილისა);

- “რა არის მისი ნამალი?
- ცივი წყალი, ცივი რკინა,
თვით ამოსული კანაფი
გადავკიდე ფხარსაო,
ის გააქრობს ჭვალსაო” (ჭვალისა);

“სამყური კატაპარდაცილი
აცხე შუბლსა, ავლე თვალსა,
ის გააქრობს შაკიკსა” (შაკიკისა).

აბრაკადაბრა

მაგიური პოეტური სიტყვა წარმოქმნის ძალაუფლების დისკურსს, გაარღვევს ნორმირებულ საზღვრებს, დაიშლება სემანტიკური სტრუქტურა ტექსტისა, რომელსაც გამოეცლება კონტექსტი და იქცევა აბრაკადაბრად. შელოცვებში ლოგიკური ველის კონსტრუირება ხშირად შეუძლებელია. გაუგებრობა იქცევა ნორმად, ლოგიკური უწესრიგობა მოწესრიგებულის ნიშნად. აბრაკადაბრები (abracadabra - მაგიური დანიშნულების მქონე სემანტიკისა-გან დაცლილი სიტყვა ან სიტყვათა ჯგუფი) ხშირად ფონეტიკურ სიგნალს ემსგავსება, შემოიჭრება თითქოს ახალი მატერია. გამოლოცვის აზრის ბუნდოვანება იქცევა მთავარ მაკონსტრუირებელ ნიშნად და შემლოცველის ძალაუფლების დემონსტრირების ყველაზე საუკეთესო საშუალებად. ამ მხრივ შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ შელოცვა არის წინარექ-რისტიანულისა და ქრისტიანულის დიალოგი. აბრაკადაბრებში ვერ განვსაზღვრავთ მნიშვნელობათა კონოტაციურ დონეს, რადგან მათი დენოტაცია გაუგებარი. აზრის ბუნდოვანებით გამოწვეული ემოცია ბოლომდე გასდევს

შელოცვის რიტუალსაც. შესაძლებელია ითქვას, რომ უაზრობა, აბსურდული სიუჟეტები იძენს კონცეპტუალურ მნიშვნელობას. აბრაკადაბრები, შელოცვების გარდა, უხვადაა გათვლებში, ხალხურ ბალადებსა თუ სხვადასხვა ლექს-სიმღერაში (დაწვრილებით იხ. აბრაკადაბრა შელოცვებში, მახაური 2011: 22-37; აბრაკადაბრები ქართულ შელოცვებში ხაჭაპურიდე 2010: 190-195). აბრაკადაბრები შეიცავენ კოდირებულ ინფორმაციებს, რაღაც ძველის პლასტებს, თუმცა მათი ამოკითხვა, გაშიფვრა, ფაქტობრივად, შეუძლებელია.

როგორც მიღებულია, “ბარბაროსული გაუგებრობა” უნდა ახლდეს შელოცვას (ბერძნ. “ბარბარა ონომატა”). ყველაზე “გამჭრელ” ტექსტებადაც სწორედ აბრაკადაბრული შინაარსის მქონე მიიჩნეოდა. ჩვენს გამოლოცვებშიც ხშირია გაუგებარ სიტყვათა სინტაგმები:

“ალისასას, მალისასას”;

“აკიკი, მაკიკი” (გავრცელებული ატიტი მატიტის ვარიანტი);

“ელი ელობდა, მელი მელობდა,

ნითელხუცესა ხარი გეება”;

“ნაჯორჯები ჯორდებოდეს”;

“ევა დეეცა, დევადეეცა”;
“ზოკო-ხოკო ხოროკინა”;
“უხუ მგელსა”;
“ამი ოფელი, მანი ოფელი”;
“ტიტი-ტიტი ტიტმანასა, ანახი და ჩანახი”;
“აფაქიასა ქალია, აფაქიასა ცოლია”.

ამ გამოლოცვებში, როგორც ირაციონა-ლურ ტექსტებში, ამ აბსურდის შემცველ სიტყვებს თავიანთი ფონეტიკური დატვირთვა აქვს. ისინი სიტყვათა თამაშით შელოცვის, როგორც მაგიური პოეზიის, რიტმულ-დინამიკურ სტრუქტურას ქმნიან. ამასთანავე, “მისნური ფორმულების წარმოთქმითა და მაგიური რიტუალის შესრულებით, როგორც წესი, ცდილობენ ავადმყოფის სხეულიდან შიშის, ავითვალისაგან მიყენებული ზიანისა და სხვადასხვა დაავადების განდევნას” (მამისიმედიშვილი 2005: 527).

რა თქმა უნდა, ძნელად დასაჯერებელია, რომ აბრაკადაბრებმა რაღაც ტრანსფორმაცია განიცადა (გაგულაშვილი 1986: 140-141). გასათვალისწინებელია გამოლოცვის სპეციფიკა, რომ მისი “ენა საიდუმლო უნდა იყოს, იდუ-მალებას კი აბრაკადაბრა ინახავს” (მახაური

2011: 25). თუმცა, არ მიგვაჩნია სწორ შეხედულებად აზრი იმის შესახებ, თითქოს “ჩქარ რიტ-მში წარმოთქმული ისედაც გაუგებარი ტექსტი თავბრუდამხვევ ზემოქმედებას ახდენდეს მსმენელზე” იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ, თუნდაც იმერეთში, არცერთი შელოცვა “ჩქარ რიტმში” არ წარმოითქმოდა. როგორც წესი, შემლოცველს არსად ეჩქარება და ისედაც მოკლე ტექსტებს ტემპირებულად არ ასრულებს. მთავარია, ჩურჩული // ბუტბუტი იყოს შენარჩუნებული.

გამოლოცვანის პოეტიკა

მიუხედავად გამოლოცვის წმინდად უტი-ლიტარული დანიშნულებისა, მას მაინც ახლავს ემოციური მუხტი, ვინაიდან მისი რიტუალი თავისებურ ესთეტიკასაც გულისხმობს. რადგანაც შელოცვა არქაული უანრია, სიტყვის მაგიურ ძლიერებაზე დაფუძნებული, მისი პოეტიკის გასაღებიც სწორედ სიტყვადემნადობაშია საძიებელი. სიტყვის ყოვლისშემძლეობის რწმენა ლაიტმოტივია ნებისმიერი გამოლოცვისა, სამკურნალო იქნება ის თუ სამეურნეო. თუ მიშეღ ფუკოს დავესესხებით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ გამოლოცვები სიტყვის “ძალაუფლების მეტაფიზიკაა”. სიტყვიერი ფორმულები იმთავითვე გამიზნულია საგნებზე, ბუნების ძალებზე, ადამიანებსა თუ ცხოველებზე ზემოქმედების მოსახდენად. ერთი მთავარი განმსაზღვრელი გამოლოცვისა არის მისი რიტმულობა და ორგანიზებულობა. სწორედ ეს “უზრუნველყოფა და განაპირობებდა ასეთი ტექსტების დამახსოვრებას და ზეპირი გზით გავრცელებას” (ბარდაველიძე 1979: 25). ამასთანავე, გამოლოცვები არ არის ვრცელი ტექსტები. მათი უმრავლესობა საკმაოდ მცირე

მოცულობისაა. მინიმალიზმი აქ აზროვნების ესთეტიკურ კონცეფციადაც შეიძლება მივიჩნიოთ.

რითმა შელოცვებში, როგორც მიღებულია, ახალი მოვლენაა და ამ ჟანრის კვდომის მაუწყებელი სტატუსი უფროა, ვიდე მისი მარადიული ცხოველმყოფელობის ნიშანი. შეიძლება გარითმული იყოს გამოლოცვა, მაგრამ ეს არ არის მკაცრად ორგანიზებული და ის აუცილებლად დაირღვევა. რითმის მერყეობა გამოლოცვების თანამდევ თვისებად უნდა მივიჩნიოთ.

შელოცვების პოეტურ ორგანიზებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს **ალიტერაციები** (გულო, შინა-შინა, / გულო, რამ შეგაშინა?!?) და ონომატოპეური **სიტყვებიც** (ტიტი, ტიტი ტიტმანასი, / ანახი და ჩანახი; ხოკო, ხოკო ხოკინა).

გამოლოცვები მდიდარია **ტროპის სახეებით**. განსაკუთრებით გამოვყოფთ რამდენიმე მათგანს:

ეპითეტები: შე შავო კაცო; უცხო ფრინველი; უსახლყარო და მშიერი ღიერი.

შედარება, როგორც მხატვრული დახასიათების გავრცელებული ფორმა, გვხდება შაკიკის გამოლოცვაში: “ისე ჭამდა რკინასაო, / როგორც ხარი - თივასაო”.

პიპერბოლა ის ხერხია, რომელიც პირდაპირ თუ ირიბად ახასიათებს გამოლოცვებს, მაგალითად: “წითელხუცესა ხარი ვეება, / ზღვახნავდა, ქვიშა თესავდა”; “დიდი, დიდი, დიდებული, / ზედ სახტარი შენებული, / ლოდია მიყუდებული. / ვკარი ხელი, წავაქციე”; “ავალზეცას, / ვეტყვიდედას”.

გაპიროვნება: “შაკიკი შემომეჩვია / სათოვისა ბოლოსაო, / ისე ჭამდა რკინასაო, / როგორც ხარი - თივასაო. / დასწეულა წმინდა გორგიმ, / ვეიპარა დილასაო”.

მიმართვა, როგორც პოეტური საშუალება, მრავლად გვხვდება სამკურნალო გამოლოცვებში, მაგალითად:

“ქალო მარიამ, რას სტირი?!”

“გულო, შინა-შინა, / გულო, რამ შეგაშინა?!”

“გულო, მოდი საგულესა, / შეგიკერავ კაბასა და სამგუნესა!

გულო, ადექი - დადექი, / შენ საბუდეში ჩა-
დექი, / გარეთ ტურა-მგელი შეგჭამს”;

“ქრისტე ღმერთო, რა შეგცოდე”;

“ხოკო-ხოკო ხოროკინა, / ცხრაო ძმაო ზა-
ზანდარო”.

“ქალო, რას ხარჩავ მაგასო?”

“ახლა ღიერო, ღიერო, / უსახლკარო და მში-
ერო”:

“წელკაო წელკავისაო, / თეძო და ბარკალი-
საო!

“ნმინდა გიორგო, უშველე, / ხატო და გელა-
თისაო!”

მიმართვებიც უხვად გვხდება ლიტურგი-
კულ კრებულებში. საილუსტრაციოდ ერთ ნი-
მუშს მოვიხმობთ: “შეგრისხებს შენ უფალი, ეშ-
მაკო, რომელი მოვიდა სოფლად და დაემკვიდ-
რა კაცთა შორის, რათა შენი დაამხუას ძლიე-
რებად” (დიდი კურთხევანი 2002: 94). აღარა-

ფერს ვიტყვით იმის შესახებ, რომ ტრადიციული ფორმები: უფალო, ღმერთო ჩვენო; ქრისტე ღმერთო; ყოვლადწმიდაო ღვთისმშობელი; დიდო მთავარმონამეო გიორგი; მთავარანგელოზნო ღმრთისანო და უამრავი მისთ. გვხდება ყველა ტიპის ლოცვაში (ტროპარ-კონდაკები), ფსალმუნში, პარაკლისებში, აკათისტოებში (დაუჯდომლებში), სადიდებელ-სავედრებელ გალობანსა და კანონებში, სადღესასწაულო განგებანში. უფრო მეტიც, პარაკლისები და აკათისტოები თითქმის აგებულია სწორედ მიმართვის ფორმებზე. საბუთად ორ ნიმუშს მოვიყვანთ:

პარაკლისი ყოვლადწმიდისა ღმრთისმშობელისა - “ჰომ, ყოვლადწმიდაო დედუფალო ღმრთისმშობელო, უმაღლესო წმიდათა ანგელოზთა და მთავარანგელოზთაო, და ყოველთა დაბადებულთა უპატიოსნესო, შეუწევნელთა შემწეო, უსასოთა სასოო, გლახაკთა შესავედრებელო, მწუხარეთა ნუგეშინისმცემელო, მშიერთა გამომზრდელო, შიშველთა სამოსელო, სნეულთა მკურნალო, ცოდვილთა ცხოვრებაო და ყოველთა ქრისტიანეთა შემწეო და შესავედრებელო.

ჰომ, ყოვლად მოწყალეო დედუფალო ქალ-ნულო ღმრთისმშობელო, მოწყალებითა შენი-თა აცხოვნენ და შეიწყალენ ღმრთივდაცული ერი ჩუენი და მეუფება მისი” (პარაკლისი 2003:).

დაუჯდომელი საგალობელი ყოვლადწმი-დისა სამებისა

“ყოვლადწმიდაო სამებაო, გამოგვზარდენ ჩვენ;

ყოვლადწმიდაო სამებაო, განგვაცხოველენ ჩვენ;

ყოვლადწმიდაო სამებაო, განკურნენ უძ-ლურებანი სულთა და ხორცთა ჩვენთანი;

სამებაო, ერთარსებაო, მოგვმადლენ ჩვენ
მღვიძარებად:

სამებაო ცხოველსმყოფელო, აღაყვავილენ
სულისაცა ჩვენისა მცენარებანი;

სამებაო წმიდაო, შეგვიტკბენცა შენდა შევ-
რდომილნი;

ყოვლადწმიდაო სამებაო, შეგვიწყალენ და
გვაცხოვნენ ჩვენ! (დაუჯდომელი 2003:).

ანაფორა გამოლოცვებისთვის ძალზე გავ-
რცელებული და დამახასიათებელი სტილური

(ლიტერატურულ-პოეტური და ორატორული)
ხერხია:

“იქ არი დედანი თქვენი, / იქ არი მამანი
თქვენი,

იქ არი ძმანი თქვენი, / იქ არი დანი თქვენი,
იქ მეიჩხრიკეთ, იქ მეითამაშეთ” (მოფურ-
ჩხულისა).

კითხვა-მიგებითი ფორმულები, ანუ დია-
ლოგი, ზოგადად, გავრცელებული საშუალებაა
გამოლოცვების სტურქტურისა. შესაძლოა
შეგვხდეს როგორც დაპირისპირებულ ძალთა
დიალოგური ფორმულები, ასევე - ჩვეულებრი-
ვი სასაუბრო ფრაზები. ჩვენს გამოლოცვებში
შეგვხდა ავ სულთან მთავარანგელოზის გასა-
უბრება:

- “სა მიხვალ, შე შავო კაცო? - ნმინდა
მთავარანგელოზმა უბრძანა
- მე მივალ ძვალის სახრავად, ბილის
საჭმელად

- არა, მამაძემასულმა არ გავიშვას ძვალის სახრავად, ბილის საჭმელად (გათვალისწინებისა);

გავრცელებულია ჩვეულებრივი კითხვა-მიგებითი ფორმულებიც:

- “ქალო, რას ხარჩავ მაგასო?
- კურმუხოსა და წაქასო” (ბლიერისა);
ან
- “რა არის მისი ნამალი?
- ია დავარდი, ქალის რძე,
ნითელი ძაფი და ნემსი” (თვალის ტკივილისა).

კონტექსტიდან ამოვარდნილია (უფრო აბრა-კადაბრაა) დიალოგი მოციქულთა თავთა შორის:

“პეტრემ უთხრა პავლესაო

- რად არა ქამ პურსო
- მით არა ვჭამ პურსო,
- ქვალი მასვია გულსო
- რა არის მისი ნამალი?
- ცივი ნყალი, ცივი რკინა,

თვით ამოსული კანაფი” (ჭვალისა);

მთლიანად დიალოგზეა აგებული შაკიკის გა-
მოლოცვა:

- აკიკი-მაკიკი, /ქალო მარიამ, რას სტი-
რი?!
- რავა რას ვტირი?! /ჩემი შვილი ბურთს
ბურთაობს”...

მოკლედ შევეხებით **ფერთა სიმბოლიკა-საც.** როგორც ვარაუდობენ, ქართულ შელოც-
ვებში დომინანტურია სამი ფერი (ისე, რო-
გორც - ქართულ ზღაპარში): შავი, წითელი და
თეთრი, რომ ამ “ფერების სიმბოლიკის ერთი
ძლიერი ნაკადი ქართულ ფოლკლორში დაკავ-
შირებულია სულეთის სამყაროსთან” (აგულაშ-
ვილი 1986: 101). ამასთანავე, ქართული ფოლკ-
ლორის კვალობაზე, თეთრი ზესკნელს, წითე-
ლი შუასკნელს და შავი ქვესკნელს განასახიე-
რებდა. ბებიაჩემის გამოლოცვებში გვხდება
სამივე ფერი ერთ კომბინაციაში. ამის იშვიათი
მაგალითია თვალის ტკივილის გამოლოცვა,
რომელშიც უპირატესობა ენიჭება მშვიდო-

ბიანსა და ხალისიან ფერს - შავს. ამავე გამო-ლოცვაში არა პირდაპირი სახელდებით, მაგრამ მაინც შემოდის სხვა ფერებიც: ისფერი, ვარდისფერი და რძისფერი. დაბეჯითებით შე-იძლება ითქვას, რომ ეს გამოლოცვა ფერთა გა-მის უიშვიათესი ნიმუშია: “წითელმა წითელი გადიგანა, / თეთრმა თეთრი გადიგანა. / დარჩა შავი - მშვიდობიანი და ხალისი. / რა არის მი-სი ნამალი? / - ია და ვარდი, ქალის რძე, / წითე-ლი ძაფი და ნემსი” (თვალის ტკივილისა). რო-გორც წითელა ან ყვავილა ბატონებით დაავა-დებულთათვის განკუთვნილ რიტუალში, ჩვენს შემთხვევაშიც ფერთა შესამებას, “ფერთა სა-სიამოვნო შეგრძნებას უდავოდ უნდა ჰქონოდა მნიშვნელობა” (სიხარულიძე 1976: 12) და ეს ფუნქცია, აღბათ, ესთეტიკას არ გამორიცხავ-და.

სამი დომინანტური ფერის (შავი, წითელი და თეთრი) გვერდით, აგრეთვე, გვხდება ყვი-თელიცა და ჭრელიც:

“შავგულა დაუკლავსყენ,
ადრე მიხვალ შეგინახავს,

გვიან მიხვალ, შეგიჭამენ” (მოფურჩხულისა);

“წითელხუცესა ხარი გეება” (დამწვრობისა);

კოდო ვარ, კოდო ყვითელი,
კაბა მაცვია წითელი” (გველის ნაკბენისა);

“წითელწვერა კაცისა, შავწვერა კაცისა,
ჭრელთვალა ქალისა, ჭრელთვალა კაცისა,
შავთვალა ქალისა, შავთვალა კაცისა.

მოკვდა კლდეშავი.

გამოვარდა შავი კაცი,

შავი ლაგამონაგერი.

- სა მიხვალ, შე შავო კაცო? - წმინდა
მთავარანგელოზმა უბრძანა” (გათვალისწინებულისა).

ისიც უნდა ითქვას, რომ ჩვენს გამოლოც-
ვებში წარმოდგენილია ტრადიციული ფერი
გველისა და მის გამოსახატავად არ გვხდება
წითელი ან თეთრი:

- “შავი, შავი შამელია,
შავი გველი ვეშაპია... (გველის ნაკბენისა);

პაგანიზაცია

ჩვენი გამოლოცვები იძლევა იმის საფუძველს, რომ არ გავიზიაროთ თეორია, ზოგადად, მათი ხალხური წარმომავლობის შესახებ. აშკარაა ის ფაქტი, რომ ისინი წარმოადგენენ რაღაც ეკლესიური ცოდნის, ქრისტიანული სიმბოლიკის დეკონსტრუქციისა თუ გადაგვარება-დამახინჯების პროდუქტს (შდრ. ვ. მანსიკა). შესაძლოა ითქვას, რომ შელოცვა შუა საუკუნეებში ახლად აღორძინებული მითოლოგიური შემოქმედების ბუმის შედეგია, როგორც ა. ვესელივსკი იტყოდა, შუა საუკუნეებში მეორე დიდი მითოლოგიური ხანის დადგომის პროდუქტი.

ბებიაჩემმა საეკლესიო ლოცვები ზეპირი გზით ისწავლა, ისიც მხოლოდ დასაწყისი ლოცვები “მამო ჩვენოს” ჩათვლით და ღვთისმშობლის სადიდებელი “ღირს-არსი”, ოღონდ ამ უკანასკნელში ნაცვლად “უზესთაესსა სერაბინთასა” ამბობდა: “თუშტესა ესა ქერაფიმთასა”. როცა ვკითხე, “თუშტესა” რას ნიშნავს-მეთქი, ვერ მიპასუხა. ასევე, რადგან მღვდელი და ნირვა-ლოცვა აღარ იყო, საკურთხს თავად “აკურთხებდნენ”: გააწყობდნენ ტაბლას და,

ბოლოს, სანთელს ანთებდნენ, კეცზე საკმე-ველს უკმევდნენ. მეორე ბებიას მეზობელმა მისცა რაღაც ტექსტი, საკურთხე წასა-კითხიაო. მასში ასეთი სიტყვები იყო: “ღმერ-თო, შენ აღადღადე (ანუ განანათლე, აცხოვნე - ს.მ.) ერევნის ბალში ჩვენი გარდაცვალებულე-ბი”. ვერაფრით ავხსენით, რა შუაში იყო “ერევ-ნის ბალი” (ედემის ბალის ანალოგით)! ასეთი მაგალითების მოხმობა მრავლად შეიძლება. დღესაც თანამედროვე მრევლში კანონიკური ლოცვების დამახინჯებით დაზეპირების უამ-რავი შემთხვევაა.

მინიშნებითაც კი ადვილი საგრძნობია, რომ ქრისტიანული რეალიები ჩვენი სამკურნალო შელოცვების ძირითადი პლასტია. ქრისტიანუ-ლი ცოდნა რაღაც ეტაპზე გახალხურდა, მასში შეიქრა არაკანონიკური ელემენტი, დამახინჯ-და და ასეთი ფორმით განეფინა შელოცვებში. უფრო კონკრეტულად კი სურათი ამგვარია:

1. დასაწყისი ამ შელოცვებისა წმინდად ქრისტიანულია (როგორც ზემოთ უკვე ვთქვით). მართალია, მასში ქრისტიანული ზუს-ტი ფორმულა “სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათ” დეფორმირებულია, გა-მარტივებულია (სახელითა ხვთითა, მამითა,

სულითა წმინდითა), მაგრამ მაინც პირდაპირი მიმართვაა წმიდა სამებისა. სხვათა შორის, ყოვლადწმიდა სამება პირდაპირ ამ ფორმული-რებით ან დამახინჯებულადაც გვხვდება, მაგალითად:

“სამი ძმები მიდიოდენ / სამებისა მადსა”;

“არა, მამაძემასულმა (იგულისხმება მამა ძე და სულინმიდა) არ გაგიშვას ძვალის სახრავად, ბილის საჭმელად”.

2. დასასრულშიც ვეღრება გაისმის ღვთის მიმართ - “ღმერთო, არგე ლოცვა ჩემი, / შეენიე მადლი შენი, / მოუხდინე ლოცვა ჩემი, / ბრძანებაა ღვთის და / ლოცვა არის ჩემი! ”;
3. ორივე ნაწილი - დასაწყისიცა და დასასრულიც, ე.წ. პროლოგ-ეპილოგი, ადასტურებს, რომ შემლოცველი ქრისტიანია, ის ყოვლადწმინდა სამების სახელით იწყებს რიტუალს და ღვთის ხსენებითვე ასრულებს;
4. გამოლოცვებში არაერთხელ ნახსენებია ქრისტე ღმერთი, მაგალითად:

ქრისტეს მოხვდა, ქრისტემ ბრძანა: რა არის მაგის ნამალი?

ქრისტე ღმერთო, რა შეგცოდე, რად დამართე ბა-
ბასილი?!

დე ქრისტესი ვარ, ქრისტე ჩემია, ქრისტეს ბეჭედი
დაბეჭდილია;

5. უცნაურადაა წარმოდგენილი ყოვლადწმიდა
ლვთისმშობელი. ის არის “ზეცას მყოფი დედა”
და “ქალი მარიამი”. კარგადაა ცნობილი, რომ,
ქრისტიანული იკონოგრაფიული ტრადიციის
მიხედვით, არსებობს ლვთისმშობლის რამდე-
ნიმე სახე:

„ელეუსა”, ანუ მოალერსე - ამ ხატში ყრმა
იესო დედას ლოყით ეხება;

„ოდიგიტრია” (გზის მაჩვენებელი), როდე-
საც ლვთისმშობელს მარცხენა ხელზე ყრმა
უზის. ასეთ ხატს რეპრეზენტაციულ, ანუ წარ-
დგინებითსაც უწოდებენ. ოდიგიტრიის ხატი
განკაცებისა და უბინოდ ჩასახვის დოგმატის
გამომხატველია;

„დეისუსი” იგივე ვეძრების ტიპის ლვთისმ-
შობელია იესო ქრისტეს გარეშე. მას ხელები
განვდილი აქვს და მაცხოვარს ავეძრებს კა-
ცობრიობას;

„გლიკოფილუსა“ მოწყალე ხატს ნიშნავს. მასზე ყრმა იესოს ღვთისმშობლის კისერზე ხელი აქვს შემოხვეული;

„ორანტა“, ანუ მლოცველი ღვთისმშობელი. ის გამოსახულია მთელი ტანით, ხელაპყრობილი, ხელისგულებით ჩვენკენ;

„ალმა მატერ“ იგივე დედა-აღმზრდელი და სხვა.

როგორც გავრცელებული სახე, ჩვენს ტექსტებშიც ღვთისმშობელი მტირალია. ეს კარგად ჩანს შაკიკის გამოლოცვაში. აქ მისი ტირილი შვილის კონტექსტშია წარმოდგენილი, ოღონდ ეს არ უკავშირდება ჯვარცმულ იესოს. ყველაზე უფრო აბრადაკაბრული სწორედ შაკიკის ეს შელოცვაა, რომლის სიუჟეტი მთლიანად ბუნდოვანია, თუმცა საუკეთესო შელოცვა ხომ უაზროა (კიკნაძე 2008: 220):

- “აკიკი-მაკიკი, /ქალო მარიამ, რას სტირი?!“

- რავა რას ვტირი?! / ჩემი შვილი ბურთს ბურთაობს.

ქრისტეს მოხვდა, ქრისტემ ბრძანა: / რა არის მაგის ნამალი?

- სამყური კატაბარდაცილი / აცხე შუბლეა,
ავლე თვალეა, / ის გააქრობს შაკიკსა!”

ღვთისმშობელი უნდა იგულისხმებოდეს წყლისას ამ შელოცვაშიც: “ავალ ზეცას, / ვეტყვი დედას, / მომცემს ისარს, / დავკრავ წყლისას”. აშკარაა, რომ ამ პასაუში ღვთისმშობელი არის დამხმარე, შემწე და გზაზე დამყენებელი, რადგან ის გაძლევს ისარს, რომელსაც ჩამოიტან ზეციდან და დაჰკრავ წყლისას. ღვთისმშობლის მიერ ბოძებული ამ ისრით “გაიპარება” დაავადება და სნეულიც განიკურნება. შეგვიძლია ეს სახე შევადაროთ „გლიკოფილუსას”, ანუ მოწყალე ღვთისმშობელს.

6. ჩვენს გამოლოცვებში გვხვდება **მთავარანგელოზიც**: “სა მიხვალ, შე შავო კაცო? - წმინდა მთავარანგელოზმა უბრძანა”;
7. ქრისტიანული რეალიები შეცვლილი და დამასინჯებულია იმ შემთხვევებშიც, როცა შემლოცველი მოციქულთა თავებად, პეტრესა და პავლეს გარდა, სახარების ავტორებსაც მიიჩნევს: “ექვსო თავნო მოციქულნო: პეტრე, პავლეს, მანთეს, მარკოს, ლუკა და ივანე”.

სრული ფაქტობრივი აღრევაა დიალოგი პეტრესა და პავლეს შორისაც:

“პეტრემ უთხრა პავლესაო:

- რად არა ჭამ პურსო
- მით არა ვჭამ პურსო,
ჭვალი მასვია გულსო;”

8. სრულიად ბუნებრივია, რომ შელოცვებში იხსე-
ნიება **ნმინდა გიორგი**:

“დასწყევლოს 365-მა ნმინდა გიორგიმ”;

“დასწყევლა ნმინდა გიორგიმ, / გეიძარა დილა-
საო”.

“ნმინდა გიორგო, უშველე, / ხატო და გელათი-
საო!”

9. გამოლოცვებში, ასევე, მოხსენიებულია :

112 **ხატი-ჯვარი:** “დასწყევლოს 112-მა
ხატმა-ჯვარმა”;

ნმინდა ქალაქი იერუსალიმი: “ერუსამეს
მივდიოდი, ვიტყოდი აღსარებასა”.

ორჯერ გვხდება ეკლესია, საყდარი (სახტა-
რი):

“დიდი, დიდი, დიდებული,
ზედ სახტარი შენებული,
ლოდია მიყუდებული”;
“წყალის პირზე სახტარია,
იქავ დედაკაცი იყო”.

აქვე შეგვხდება ეშმაკთან დაუმორჩილებ-
ლობის და გამიჯვნის ასეთი ფრაზაც: “ეშმაკო,
ჩამომეთხოვე, / არა ვარ შენსა ნებასა”.

ჩვენ მიერ მითითებული და ჩამოთვლილი
რეალიები აშკარად გვიდასტურებს, რომ ეს გა-
მოლოცვები არ არის წარმართული ტექსტები
და ისინი, ძირითადად, ქრისტიანობის გახალ-
ხურების, პაგანიზაციის პროდუქტია.

აპოკრიფული ლოცვები

როგორც საყოველთაოდაა ცნობილი, “აპოკრიფი” ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს დაფარულს, საიდუმლოს. კორნელი კეკელიძე წერს: “მწვალებლებმა აპოკრიფულ ნიადაგზე შექმნეს თავისებური რომანები და მოთხრობები, ადვილად საკითხავი და საინტერესო მათი “მასობრივი” და “ხალხური” ხასიათის გამო” (კეკელიძე 1980: 430). აპოკრიფთა ორ სახეობას განარჩევდა მღვდელი გიორგი ხელიძე. ის საუბრობდა ისეთი აპოკრიფების შესახებ, რომლებიც “არა არიან პირდაპირ წინააღმდეგნი სარწმუნოებისა და კეთილ-მსახურებისა, გარნა ჭეშმარიტსა მჭვრეტელობასა ისტირიკოსისასა ეჩვენებიან საეჭვოდ და ძნიად შესაწყნარებლად. ხოლო ზოგნი არიან ყოვლითურთ წინააღმდეგნი და უშესაბამონი სიტყვისა ღვთისა და ისტირისა” (ხელიძე 1865: 183).

ჩვენში კარგადაა ცნობილი ექვთიმე მთან-მინდელისეული ინდექსი აპოკრიფული ლიტერატურისა (დაწვრილებით იხ. ჭელიძე PDF ვერსია:), თუმცა მასში აპოკრიფული ლოცვები არ ფიგურირებს. აპოკრიფული ნაკადი არსებობს

საეკლესიო მწერლობის თითქმის ყველა დარგში და, მათ შორის - ლიტურგიკაშიც. ფაქტია ისიც, რომ ჩვენამდე მოღწეულ უძველეს ხელნაწერებში, ლიტურგიკულ კრებულებში, ხშირად გვხდება “სხვადასხვაგვარი შელოცვები, რომელნიც წარმოადგენენ აპოკრიფების ცალკე დარგს” (იქვე: 456). ექვთიმე კოჭლამაზაშვილი “აპოკრიფული კურთხევანის” ქვეშ აერთიანებს აპოკრიფულ ლოცვებსა და საგალობლებს, რომელთა გავრცელებას უკავშირებს საღვთისმეტყველო ცოდნას მოკლებულ მრევლს, ხშირად შინაარსიც რომ არ ესმოდა მათი (კოჭლამაზაშვილი 2002: 90). ჯერ კიდევ 1948 წელს გამოცემულ “ხელნაწერთა აღწერილობანის” მესამე ტომის დარგობრივ საძიებელში ცალკეა გამოყოფილი აპოკრიფული ლიტერატურა, რომელშიც შედის “შელოცვანი” (აღწერილობა 1948: 506). სამეცნიერო ლიტერატურაში ამ ტიპის ლოცვანი, როგორც აპოკრიფების ცალკე უანრი, სპეციალური მონიგრაფიული შესწავლის საგანი ჯერ არ გამხდარა, თუმცა ქართული ფოლკლორის მკვლევრებმა ბევრი რამ გააკეთეს ამ კუთხით და ეს

აპოკრიფული ლოცვები შეფასდა როგორც შე-ლოცვები, რომლებშიც წარმართულის აშკარა კვალი იკითხება.

მე-14-15 და მე-17-18 საუკუნეების “კურ-თხევანში” შესულია როგორც სამეურნეო ში-ნაარსის, ასევე, უძველესი სამკურნალო შე-ლოცვები, ზოგიერთი მათგანი რუსულადვე თარგმნა თავად კ. კეკელიძემ. ძველ ქართულ ხელნაწერებში (“კარაბადინებში”, “ავგაროზ-სა” და სხვა კრებულებში) მიმოფანტულ ამ ტი-პის ლოცვებზე მიხეილ ჩიქოვანმა მიგვანიშნა, შემდეგ საგანგებო კვლევა დაბეჭდა გ. ახვლე-დიანმა. მან მიმოიხილა: “ლოცვა კაცსა ზედა ცხროალსა”; “ლოცვა წმიდისა მმარხველისამ”; “მძრომის (გველის) შელოცვა”; “ლოცვა მტერ-დაცემულისა”; “ლოცვა ყოვლისა სენისა”; “ლოცვა ალისა”... (ახვლედიანი 1978: 87-94). თანაც, აქ შეტანილ ლოცვებს დართული აქვს ცნობები შესრულების წესებზე - ეს კი, მიხეილ ჩიქოვანის აზრით, ნათლად ადასტურებს მათ ხალხურ ტრადიციებთან კავშირს” (ჩიქოვანი 1956: 292). აპოლონ ცანავაც გაკვრით ეხება აპოკრიფულ ლოცვებს და ამბობს, რომ: “ეკლე-სიამ, საეკლესიო ლიტერატურამ ხელი შეუწყო ზოგიერთი შელოცვის სიტყვიერ გაფორმებას.

ასევე, დიდია ის როლი, რაც ლეგენდურ-აპოკ-
რიფულმა ლიტერატურამ ითამაშა შელოცვე-
ბის გარკვეული ჯგუფის შექმნაში” (ცანავა
1979: 59). მკვლევარი გამოყოფს სამი ტიპის შე-
ლოცვებს: წარმართულს, ორრწმენიანობის გა-
მომხატველსა და წმინდად ქრისტიანული
მსოფლმხედველობისას (იქვე: 59). გ. ახვლე-
დიანი ანალიზის შედეგად დაასკვნის, რომ ლი-
ტურგიკულ კრებულებში შელოცვები ხალხუ-
რიდანაა შესული. ჩვენი აზრით კი საპირისპი-
რო მოვლენასთან უფრო გვაქვს სქმე. ჯერ ერ-
თი, თავად ფაქტი სწორედ იმ “მითოლოგიური
შემოქმედებითი ბუმის” შედეგად უნდა მივიჩ-
ნიოთ, რომლის შესახებაც ზემოთ ვთქვით.
გარდა ამისა, ლოცვათა კრებული “კურთხევა-
ნი” (ბერძნულად “ევქოლოგიონ”) XI ს-დან
გვხვდება და იგი წარმოადგენს კურთხევათა ან
ლოცვათა საშუალებით განწმენდის წესს², მაგ-
რამ, როგორც ედიშერ ჭელიძე განმარტავს:
კურთხევათა ქართული ხელნაწერები “ტექს-
ტობრივად უაღრესად ნაირგვარი, სრულიად
მოუნესრიგებელი და, რაც ყველაზე სამწუხა-
როა, აურაცხელი შეცდომებით აღსავსეა...
არაიმვიათია საკუთრივ დოგმატური ხასიათის

ცდომილებანი... ზემოთქმულს უნდა დავუმატოთ აპოკრიფული, ხშირ შემთხვევაში სრულიად ნონსენსური შინაარსის ტექსტები, რომლებიც საუკუნეთა მანძილზე მჭიდროდ მიეტმასნა ღვთივსულიერ ლოცვა-განგებებს” (დიდი კურთხევანი 2002: 3). ამიტომ, “დიდნი კურთხევანის” ფუნდამენტურ გამოცემაში მან ძირითადი ტექსტისგან გამიჯნა ორი აპოკრიფული ლოცვა და სქოლიოში ჩაიტანა. ეს ლოცვებია: “უკეთუ ვენახსა და ბოსტანსა ჭია ავნებდეს” და “საწერელი ვის შეექმნას, კალამი აღილოს მსივანსა ადგილსა ჯუარებსა დასუმიდეს, ვითა დამისუამს და მას შეულოცვიდეს” (გვ. 418). “კურთხევანებსა” და “ლოცვანის” კრებულებში ხშირია ასეთი შინაარისი ლოცვები:

- “ლოცვა ცხროვსათვის” (ციებ-ცხელება - ს.მ.);
- “ლოცვად და კუერექსი უწვიმროებისად”;
- “ლოცვა ბოროტისაგან დასახსნელი”;
- “ლოცვა ანტიქრისტესაგან დასაცავად”;

- “სავედრებელი ლოცვა მღუდელმოწა-
მისა კვიპრიანე კართაგენელისა მიმართ, ჯა-
დოქტორის საწინააღმდეგოდ”;
- “ლოცვა ეშმაკის მანქანებისა და კრუ-
ლებისაგან თავდასახსნელად”;
- “ლოცვა წმიდისა მღვდელ-მთავრისა
სპირიდონ ტრიმიფუნტელისა მიმართ, მატე-
რიალური სიდუხჭირის ჟამს” (შდრ. ლოცვანი
2003:).

ცალკე აღსანიშნია კარაბადინებში შესული
შელოცვები (იხ. ხახანაშვილი 1896: 250), სხვა-
დასხვა ხელნაწერში დაცული აპოკრიფული
ლოცვები.

როგორც წესი, ამ სახეობის ლოცვებს
ქმნიდნენ საეკლესიო პირები. მ. ჩიქოვანის აზ-
რით, “ქრისტიანულმა რელიგიამ ძველი წარ-
მართული შინაარსის ლოცვების საფუძველზე
ახალი ლოცვები შექმნა, რომელნიც ფართოდ
იქნა გამოყენებული საეკლესიო პრაქტიკაში...
ამნაირი ლოცვები თავმოყრილია ე.წ. “კურ-
თხევანში” (ჩიქოვანი 1956: 292). ასეთი გამო-
ლოცვანის ენა წმინდად ლიტურგიულია, მაგ-
რამ ჩართულია ისეთი პასაუები, რომლებიც

ლოცვის კანონიკური სტრუქტურიდან ამო-
ვარდნილია, მაგალითად: “და მარიამ, დედად
უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესი, წყარომსთუ-
ალსა იორდანისასა და იოვანესსა მჭმუნვარე
იყო და მგლოვარე. მოვიდოდეს მიქაელ და გაბ-
რიელ. რქუეს მარიამსა, “რავსა მჭმუნვარე ხარ
ანუ რავსა მგლოვარე ხარ? ჰრქუა მან: რავთამ-
ცა არა მჭმუნვარე ვიყავ ანუ მგლოვარე. ქრის-
ტეს საყუარელსა მონასა უკბინა ჭიამან და ექ-
მნა იგი საწერელ...” (დიდი კურთხევანი 2002:
418). სხვათა შორის, ეს ორი აპოკრიფული
ლოცვა არ ჩანს არც სხვა ნუსხებში და, რაც
მთავარია, არც - ბერძნულ დედანში, ამიტომ ის
SIN. - 73 ხელნაწერის შემატებულ (არა გიორგი
მთაწმიდელისეულ) ნაწილად ითვლება (იქვე:
11).

თ. ბეგიაშვილი მსჯელობს იმის შესახებ,
რომ “განვითარების შემდგომ ხანაში მაგიური
პოეზია - შელოცვები გადადის რელიგიაში და
ერთგვარი აღრევა ხდება რელიგიური ხასია-
თის ცრუმორწმუნეობისა და მაგიური პოეზიი-
სა” (ბეგიაშვილი 1941: 24). უფრო ადრე, ჩამნე-
რი ლავრენტი მათიკაშვილი ასე ფიქრობდა:
“შელოცვები ქრისტიანობას გადაუნათლავს

და თავისი ბეჭედი დაუტყვია მათთვის” (უმიკაშვილი 1964: 186).

ჩვენი აზრით, როგორც აპოკრიფული ლიტერატურა არ მიიჩნევა წარმართობის გადმონაშთად, ასევე, ვერ გავიზიარებთ იმ გავრცელებულსა და დომინანტურ შეხედულებას, თითქოს შელოცვები წარმართობის დროინდელია, მაგრამ ქრისტიანულად გადამუშავებული. იმას, რომ შელოცვები ეკლესიურ წრეებშია შექმნილი, ადასტურებს “კურთხევანსა” და “თთუენში” შეტანილი ცხოველთა დასაცავი სავედრებელი ლოცვები:

- „ლოცვა დიდებულისა მოწამისა მამავი ყოველსავე სწეულებისა პირუტყუთა“;
- „ლოცვა წმიდისა მოდესტოსი დაცვად სიკვდილისაგან პირუტყვითა“;
- „ლოცვა წმიდისა ძლევაშემოსილისა გიორგისი დაცვად მხეცთაგან შინაურ ცხოველთასა“ (დაწვრილებით იხ. ხაჭაპურიძე 1999: 261-268). სამკურნალო შინაარის შელოცვები შეტანილია H -1331 მე-14 საუკუნის ხელნაწერშიც.

გივი ახვლედიანი გამოთქვამს თვალსაზრისს, რომ “ზოგიერთმა წარმართულმა შელოცვამ ქრისტიანობის წიაღში ლოცვის სახე მიიღო. ამის გამო, ძველ ხელნაწერ ძეგლებში “შელოცვის” გვერდით იხმარება “ლოცვა” (ახვლედიანი 1978: 87). ჩვენთვის მიუღებელია ფორმულირება “წარმართული შელოცვა”, რადგან წარმართული კვალი არ ნიშნავს, რომ შელოცვა წარმართული ეპოქის პროდუქტია. მასებში ყოველთვის იგრძნობოდა ნაკლოვანება ეკლესიური ცოდნისა. ასე იყო ოდესლაც და, სამწუხაროდ, ასეა დღესაც. ამიტომ, ქრისტიანობამდელი წარმოდგენები სტიქიური ძალით შემოიჭრება ყველაგან, სადაც კი გაჩნდება დეფიციტი მწიგნობრობისა, რელიგიური განათლებისა. რაც შეეხება ძველ ხელნაწერ ძეგლებში აპოკრიფული ლოცვების მოხვედრას, ეს არის სწორედ ნიშანი იმისა, რომ ის შექმნილია საეკლესიო წრეებში, ქრისტიანულ სოციო-კულტურულ სივრცეში “ქრისტიანული რწმენის ავტორიტეტით” (კიკნაძე 2008: 235). ჩვენს სასარგებლოდ მეტყველებს ქართველური დიალექტების მონაცემთა მიხედვით ენათმეცნიერთა კვლევა შელოცვების ენის შესახებ. მათი დასკვნა ასეთია: “საქართველოს ყველა

რეგიონში შელოცვების ენას ერთი საფუძველი - ზოგადქართული დვოთისმსახურების ენა აქვთ. დროთა განმავლობაში მათ დიალექტური შეფერილობა მიიღეს ქრისტიანობის შესუსტებისა და ლოკალური რწმენა-წარმოდგენების გააქტიურების შესაბამისად” (დადიანი... 2001: 129).

დასკვნის სახით თუ ვიტყვით, ლიტურგიკულ კრებულებში შეტანილ არაკანონიკურ ლოცვებს აპოკრიფული უნდა ეწოდოს (როგორი შეფასებაც მიეცა თავის დროზე) და არა - შელოცვები (სამეურნეო თუ სამკურნალო).

გამოლოცვა, როგორც რიტუალი

მესამე კლასში ვიყავი, როცა ქართულის მასწავლებელმა ზეპირსიტყვიერების ნიმუშების შეგროვება დაგვავალა: ზაფხულის არდა-დეგეგები რომ დამთავრდება, მოიტანეთ და ვნახოთ, ვინ რა მასალა მოიძიაო. სწორედ მაშინ ვთხოვე ოლია ბებიას, გაეხსენებინა თავისი შელოცვები და ეკარნახა. ბოლო პერიოდში ამ გამოლოცვებს არ აქცევდა ყურადღებას, უფრ-თხოდა: არ ვარგებულა, ღმერთს არაფერი ვაწყენინო. ბუნებრივია, ისეთი მართლმორწ-მუნე ადამიანისთვის, როგორიც ის იყო, მაგიუ-რი ტექსტებით ლოცვა უკვე მკრეხელობა იქნე-ბოდა. მისი ეს შიში, როგორც ჩანს, წმინდა მა-მათა სწავლებიდანაც მოდიოდა: “ვად არს მა-თა, რომელი შელოცვითა კურნებასა ეძიე-ბენ... ღმერთი არს მკურნალი ჩვენი” (სწავლანი 1955: 47). ერთ ადამიანში ვერ მოთავსდება მლოცველი, ღვთის მსასოებელი და შემლოც-ველი, ანუ მისანი, გრძნეული, მუცლით მეზღაპრე თუ ზღაპარმეტყველი. მართალია, ათეიისტურ საქართველოში შელოცვა ლოცვი-საგან სუსტად განირჩეოდა, მაგრამ ბებიაჩე-მისთვის უკვე მათ შორის დიდი შინაგანი

წინააღმდეგობა, კონცეპტუალურ-არსობრივი სხვაობა იგრძნობოდა.

შელოცვა, როგორც მაგიური აქტი, ითხოვს იყოს უმაღლესი ძალაუფლების რეპრეზენტანტი. რა თქმა უნდა, შელოცვები ამ ფორმით ქრისტიანობის წიაღშია ჩამოყალიბებული, მაგრამ ისინი პირდაპირ თუ ირიბად მიგვანიშნებენ ძალაუფლებას, რადგანაც შემლოცველი ყოველთვის ითხოვს დამორჩილებას, ემუქრება დემონურ ძალებს, ავსულებს, რომლებიც ასწებოვნებენ და ანვალებენ შესალოცს. ბებიაჩემი მორწმუნე იყო, მისი ლოცვის ობიექტი ადამიანურ სამყაროზე მაღლა, ზესთა სამყაროში მოიაზრებოდა (ლმერთი, ანგელოზები და წმინდანები) და ამიტომაც აღარ შეეძლო ლოცვის გვერდით შელოცვის წარმოთქმა, ანუ ადამიანის პარალელურ განზომილებაში მყოფი ავსულების წინააღმდეგ ამხედრება. როგორც ჩანს, აღარ სურდა, მისი სულიერი მდგომარეობისთვის პარადოქსული, შინაგანად წინააღმდეგობრივი ტექსტები ჭეშმარიტებად ეღიარებინა. სრულიად მართებულია შეხედულება, რომ “სხვაა მლოცველისა და სხვაა შემლოცველის ფსიქოლოგია. ისინი განსხვავებული ფსიქოლოგიური და ეგზისტენციალური ტიპები

არიან, რამდენადაც თავად მათი “ადრესატებია” ერთმანეთისგან არსებითად განსხვავებულნი” (კიკნაძე 2008: 216-217).

თხოვნაზე უარს როგორ მეტყოდა! რა თქმა უნდა, ჩავიწერე ყველა შელოცვა, რომლებიც იცოდა. რამდენიმე კვირაში უკვე ზეპირადაც ვისწავლე (ზოგადად, შელოცვები, როგორც ზეპირსიტყვიერების უანრი, ზეპირი გზით ვრცელდებოდა. დაწერილს ძალა ეკარგებაო) და ახლა მე დავიწყე “მკურნალობა”. ჯერ კიდევ მიხეილ ჩიქოვანი შენიშნავდა: “რევოლუციამ-დელ სოფელში ხშირად შეხვდებოდა კაცი სა-ხელგანთქმულ მისნებს” (ჩიქოვანი 1956: 289), 1978 წელს კი დანანებით წერდა გივი ახვლე-დიანი: “შელოცვის უანრი დღეს კვდომის პრო-ცესშია და ხმარებიდანაცაა გამოსული” (ახვ-ლედიანი 1978: 86). რას ნარმოიდგენდა მაშინ ან ერთი, ან მეორე მეცნიერი, რომ 1980 წლი-დან 10 წლის ბიჭი (რომელსაც რევოლუციამ-დელი ბავშვივით არ ჰქონდა სათამაშო) სწო-რედ ამ არქაული ფოლკლორული უანრის ალორძინებას დაიწყებდა იმერეთში. თუ ვინმე შეშინებული, გათვალული, მოფურჩხული... იყო, ჩემთან მორბოდა: არიქა, გამოგვილოცეო. ჩემ მიმართ ინტერესს ის ზრდიდა, რომ პატარა

ვიყავი და თან მამრობითი სქესისა. ამას ასე ხსნიდნენ: ანგელოზია, პატარაა, თანაც კაცის შელოცვა უფრო ჭრის, წვერი უმოწმებს სიტყვებსო. მეც მეტი რა მინდოდა, ვხალისობდი და ჩემს სტიქიაში ვიყავი. შელოცვებს, როგორც წესი, ბუტბუტით ვამბობდი, არც თუ მკვეთრად და სხვის გასაგონ-გასაგებად. ეს უფრო იდუმალსა და საინტერესოს ხდიდა რიტუალს. ერთხელ მეზობელმა, რომელიც ჩვენი სკოლის დამლაგებელი იყო (გუგულა მამიდას ვეძახდი), მთხოვა: შვილიშვილი მყავს შეშინებული, აკვანში სულ ტირის და არ იძინებსო. უთენია ჩავედი მასთან. თეთრად მორთული აკვანი შუა ზალაში იდგა, შიგ ჩვილი იურა იწვა. პატივით მიმიღო ოჯახმა. შავტარიანი დანა და ნახშირი მოვითხოვე: ეგ, ეტყობა, გათვალულიცაა-მეტე და, შეშინებულთან ერთად, ნათვალების შელოცვის რიტუალიც აღვასრულე. შუა პროცესში ვიყავი, როცა გუგულას დაამთქნარა. ეს უკვე, მათი წარმოდგენით, კარგის ნიშანი იყო - გაჭრა შელოცვამ, გვამთქნარებსო. მეც გახარებული დავპრუნდი შინ.

ვიღაცას მეწველი ძროხის დარდი ჰქონდა, ზოგის ღორს ხოკის დაავადება ანუხებდა... მოკლედ, ყველა ჩემთან მოდიოდა. ზოგჯერ

მეზობელი სოფლიდან პურის ნაჭერს გამოგზავნიდნენ, - ამაზე შეგვილოცოსო. უკვე სახელგანთქმული “მკურნალი” ვიყავი 10-11 წლის ასაკში.

ჩემი უახლოესი მეზობლისა და ნათლია-მირონის, ფოთოლა ბიცოლას, ქალიშვილი ფეხმძიმე იყო. რაღაც საეჭვოდ გაგრძელდა ორსულობის ბოლო თვე. მათი ანგარიშით, მარინე კარგა ხნის მოლოგინებული უნდა ყოფილიყო, არადა, შვილი ჯერ არ აპირებდა დაბადებას. მთხოვეს, ამაღამ გადმოდი და ორსულს შეულოცეო. ამ შელოცვას საქონელსაც და ადამიანსაც უკითხავნენ. ერთი სიტყვაა მხოლოდ შესაცვლელი. მთელი ოჯახი მელოდა, გადავედი. მარინე წევს გაფითქინებულ ლოგინში, უსაშველოდ დიდი მუცლით. დავიწყე შელოცვა ხმამაღლა და გარკვევით. ტექსტი ყველას აინტერესებდა და მეც ამიტომ აქცენტირებულად წარმოვთქვი. მიღებული და დაუწერელი წესის მიხედვით, ხმადაბლა, ბუტბუტით წარმოვთქვამდი. პატარა ვიყავი და რიტუალს თავისებურად, უფრო თავისუფლად და თამამად ვუყურებდი, რადგან მაშინ ჩემთვის ეს ყოველივე გართობა იყო და ამიტომაც მხატვრულად, გამოკვთილად დავიწყე:

“აინძრა-მაინძრა,
მიწა იძრა, ზღვა იძრა,
ყოველი სულიერი,
ყოველი ოთხფეხი
იძრა და დადგა დროდან დრომდე
შენს მუცელში!”.

ახლა კი წაიშინა თავში ხელი ფოთოლა ბი-
ცოლამ: “დევილუპეთ, ოთხფეხი მტერს ჩაუდგა
მუცელში, ეს გვინდოდა კიდევ?!”

მწარედ შევცდი. ორფეხი უნდა მეთქვა,
რადგან ადამიანს ვულოცავდი!

ერთი კურიოზიც პირველ კურსზე შემემთხ-
ვა. ზეპირსიტყვიერების ისტორიას კეთილშო-
ბილებითა და მეცნიერული კეთილსინდისიე-
რებით ცნობილი ოთარ ონიანი გვიკითხავდა,
სემინარებზე გიორგი (იურა) ჯაფარიძე შემო-
დიოდა. დაინიშნა გამოცდის თარიღიც. წინას-
წარ ვთხოვე ბატონ იურას, თუ რამე იყოს, და-
მატებით შელოცვები მკითხეთ-მეთქი. კიო -
გაუხარდა. თურმე ოთარ ონიანს ერთგვარი ში-
ში ჰქონდა ამ მაგიური ტექსტებისა. რა ვიცო-
დი!

- აბა, რამე შელოცვა გვითხარიო - ბრძანა
გ. ჯაფარიძემ.

არც ვაციე, არც ვაცხელე და გათვალისწინებულისა
წამოვიწყე, თან თვალებში შევყურებ ბატონ
ოთარს:

“ალისასას, მალისასას,
მე გილოცავ თავლისასას”...

- თუ კაცი ხარ, გვერდზე გაიხედე, მე ნუ
მიყურებო - მითხრა გაღიმებულმა და ოდნავ
შემკრთალმა ლექტორმა!

* * *

ერთ-ერთი ძირითადი განმასხვავებელი ლოცვასა და შელოცვას შორის არის ის, რომ შელოცვას თან ახლავს რიტუალი, რომლის გარეშე ის თითქოს ძალას კარგავს (შელოცვის შესრულების წესზე, როგორც რიტუალზე, იხ. ტურაშვილი 2010: 114; ხაჭაპურიძე 1998: 322-328). შელოცვა აუცილებლად მოითხოვს დინამიკას, ის იბადება ქმედებაში. ამდენად, გამოლოცვისას სიტყვა, ქმედება, მიმიკა, ჟესტი, ბუტბუტი, ჩიფჩიფი, ჩურჩული... არაპირდაპირი თუ პირდაპირი მეტყველების სახეებია. გამოლოცვა რაღაცნაირად იტევს წარსულის, აწმყოსა და მომავლის კონტინუალურ ურთიერთმიმართებებს. მისი წარსული ავი სულის ჩასახლებას უკავშირდება, სენის შეყრას, დასნებოვნებას; აწმყო გამომლოცველის ბუტბუტითაა ნიშანდებული; მომავალი კი სწეულებამდელი ხატის აღდგენის მოლოდინში ცხადდება და იკვეთება. ასე კონსტიტუირდება გამოლოცვის რიტუალში მაგიურისა და საკრალურის, რწმენისა და მოლოდინის ტოპოსი.

ჩვეულებრივი მორწმუნე (და არა მოწესებერი, განდეგილი) შინ ლოცულობს ხატის წინ ან ეკლესიაში განსაზღვრულ ლიტურგიულ

დროს. წმინდა სვიმეონ ახალი ღვთისმეტყველის საკითხავი „სამგვარო ლოცვის შესახებ“ მოგვითხრობს იმის შესახებ, რომ არსებობს ლოცვის სამი სახეობა: პირველისთვის ნიშანდობლივია ზეცად აღაპყრობილი ხელები, თვალები და გონება. ამასთანავე, შთაგონებული ღვთაებრივი აზრებით წარმოისახვა ზეციური მადლისა. მაშინ, “ლოცვისას ზეცად თვალმიპყრობილს სულში ჩაეღვენთება ღვთისადმი ლტოლვა და სიყვარული”. ლოცვის “მეორე სახეობისას ადამიანი საკუთარ თავს ჩაუღრმავდება... ამ მდგომარეობის ძირითადი მახასიათებელი ისაა, რომ იგი გონებაში მწიფდება, აზრთა ჭიდილში”. ხოლო, არსი ლოცვის მესამე სახეობისა იმაში მდგომარეობს, რომ “გონება უნდა ჩავიდეს გულში, მის სიღრმეში იბრუნოს გამოუსვლელად და იქიდან, გულის სიღრმიდან, დაძრას ლოცვები ღვთისაკენ” (სვიმეონი 1991: 118-120, 125).

ნიკოდიმოს მთაწმინდელიც სამი სახის ლოცვას განარჩევს: სიტყვიერს, გონისმიერსა, გულისმიერს (ნიკოდიმოსი 2003:). მიტროპოლიტ ანტონის (გოლინელი) მიხედვითაც, არსებობს სიტყვიერი და გონებითი ლოცვა.

შემლოცველს არ მოეთხოვება ისეთი სული-ერი მდგომარეობა, რომლის დროსაც ლოცვით სიტყვას და ლოცვით აზრს ლოცვითი გრძნობაც ეთანხმება ან უფრო მაღალი ხარისხი - სულიერი ლოცვა. გამომლოცველის ფუნქცია გამოსალოცის დარწმუნება-იმედი, სიმშვიდე და მისგან ავ სულთა განდევნაა. დანიშნულება წმინდად პრაგმატული და პრაქტიკულია!

შემლოცველი არ იყენებს ხატს, სანთელს, არ მიჰყავს გამოსალოცი ეკლესიაში. აქ შეცვლილია ადგილი, სახეობა, მიზანი ლოცვისა. გამოლოცვები, ლოცვისგან განსხვავებით, უფრო დინამიკური პერსპექტივით გამოიჩინა. გამომლოცველი თვალს ადევნებს გამოსალოცს უტილიტარული პოზიციიდან, მიწიერი ცხოვრებიდან, მორწმუნე კი ლოცულობს სხვა პერსპექტივით - ის გადის გზას ღვთისაკენ. სინანული თუ მადლიერება მსჯვალავს მთლიანად მის არსებას და პერსპექტივაც ლოცვისა მარადიულ ნეტარებაზეა დაფუძნებული.

შემლოცველი ლოცვის სტატიკიდან გადასულია დინამიკაზე, ოღონდ ეს ეხება გარეგნულ მხარეს, რიტუალს. ის აუცილებლად რა-

ღაცას აკეთებს, რაღაცით ზემოქმედებს იმაზე, ვისაც ულოცავს. ჯერ კიდევ მე-17-18 სს. - ის “სრულ კურთხევანში” მოთავსებული “შელოცვა ბოსტნისა” (უცხო პეპელა მოვიდა) გვთავაზობს მკურნალობის წესს ნაცრის დაყრით (ხელნაწერი H -1353). ალ. ხახანაშვილის მიერ უურნალ “კვალში” გამოქვეყნებულ “კარაბადინში დაცულ შელოცვებს” კი თან ახლავს ცნობები შესრულების წესზე, მაგალითად: “შვიდი მარცვალი და ცოტა მარილი ხელში უნდა გეჭიროს და ისე ულოცო” (ხახანაშვილი 1896: 250). ბებიაჩემისაგან ნასწავლი ეს გამოლოცვანიც ითვალისწინებდა სხვადასხვა ტიპის რიტუალს:

შეშინებულს შელოცვისას გულზე ხელს ადებ და ჯვრის სახით გადასახავ. თუ ცუდი სიზმარი ნახე და შეგეშინდა, მაშინ დაჭმუჭნილი ქალალდი უნდა გეჭიროს ხელში, სამჯერ თავზე შემოივლო და მერე დაწვა. შეშინებულის გამოლოცვისას ცალკე შევულოცავდით ნახევარ ჭიქა წყალს, რომელსაც გამოლოცვის დასრულებისას შეშინებულს სამ ყლუპად მოვასმევინებდით. ასევე, შეშინებულთანაა და-

კავშირებული ტყვიის გადადნობის ხანგრძლივი რიტუალი - წესი, რომელსაც ტყვიის გადადნობას ეძახიან.

ვიქენებოდი 11-12 წლისა, როცა პიძაჩემის სიდედრმა, სიკეთითა და სიმართლით გამორჩეულმა მინადორა ბებიამ, ცხრადღიანი რიტუალის ბოლოს, ტყვია გადამადნო. ლამით ერთი ოთახიდან მეორეში გასვლის მეშინოდა, რაღაც არაბუნებრივად დამფრთხალი ვიყავი და დედჩემმა სთხოვა (როგორც ჩანს, ბებიაჩემის შეღლოცვამ არ მიშველა!), ეგებ ტყვია გადაადნოთო. რიტუალის დასასრულს უნდა გარკვეულიყო, რით ვიყავი შეშინებული. დიდხანს დასცეკეროდა მინადორა სულაქველიძე იმ ფიგურას, რომელიც ადუღებული ტყვიის წყალში ჩასხმით გამოიხატა, მაგრამ იმდენად უფორმო და უსახო მასა მიიღო, რომ, ბოლოს, იმედგაცრუებულმა მითხრა (თვითონაც არ იყო დარწმუნებული): მორიელს შეუშინებიხარო, თუმცა მორიელი თვალით არ მყავდა ნანახი. ვერ გეტყვით, ამის შემდეგ გავხდი თუ არა მამაცი და “უშიში, ვითარცა უხორცო”, მაგრამ ოჯახი მაიც დაიმედებული იყო, რომ ცხოვრებაში ვერავინ და ვეღარაფერი შემაშინებდა (ისე, შიშს

დიდად არ ვუჩივი! ერთი კი ვიცი, მეშინია მხოლოდ სიხარბისა და სიმსუქნისა, განსაკუთრებით - ღიპიანი ქართველი კაცებისა).

ქვემოთ შემინებულის შელოცვაც და ტყვიის გადადნობაც ერთმანეთის მიყოლებით იქნება წარმოდგენილი, როგორც ერთი მთლიანი რიტუალი;

გათვალისწილის შელოცვის დროს ხელში უნდა გეჭიროს შავტარიანი დანა, რომლითაც წახშირს ჩაჭრი პატარა წყლიან თასში. გამოლოცვის დასრულებისას წახშირი უნდა აცხო შუბლზე ჯვრის სახით. მიღებულია გამოლოცვა პურის ნაჭერზეც (თუ გამოსალოცი შორსაა, შელოცვილ პურის ნაჭერს გაუგზავნიან), რომელსაც ახლოს მიიტან ბაგეებთან და ჩურჩულით შეულოცავ. კიდევ ერთი, თუ შელოცვისას შემლოცველს ან იქ დამსწრეს დაამთქნარებს (როგორც უკვე ზემოთ ვთქვით), ეს აპრიორულად ნიშნავს იმას, რომ გამოსალოცი ნამდვილად გათვალისწილია და შელოცვამაც გაჭრა, არგო;

გველის ნაკბენს შეულოცავენ თხილის ჯონით, რომელსაც სიტყვების “გველი მოკვდეს,

ნაკებენი მორჩეს” წარმოთქმისას 3-ჯერ შეახე-
ბენ ნაკენ ადგილს;

შაკიკის გამოლოცვისას საჭიროა ტყემლის
ტყლაპი და ბამბა, რომელთაც შუბლიდან თვა-
ლისკენ სიგრძეზე ადებენ;

ნაცოხრის შელოცვისას საქონელს პირში
ლაგამივით ჯოხს ჩაუდებენ;

ნელისას შელოცვა სავარცხელის ძუძუზე
ჩამოსმით სრულდება;

ჭვალის შელოცვა მოითხოვს დანის სამჯერ
ჩამოსმას ნატკენ ადგილზე;

თვალის ტკივილის გამოლოცვისას საჭი-
როა ნემსი და წითელი ძაფი, რომელთაც ავად-
მყოფს გულზე დააბნევენ;

ნაღრძობის შელოცვისას ავადმყოფს ნატ-
კენ ადგილს ნიგვზის ფოთლით (ან ნიგვზის
ლებნით) შეუზელ და მერე თბილად შეუხვევს;

დამწვრობისას სამჯერ შევუბერავთ სულს
მტკივნეულ ადგილს;

წელკავის შელოცვა მოითხოვს წელზე ნახ-
შირის ჯვრის სახით წასმას;

უჟმურის, იმავე მოფურჩხულის, გამო-
ლოცვისას აუცილებელია საცერზე დაყრილი
მარილი (ან ღერლილი), რომელიც მწოლარეს
უნდა შემოავლო სამჯერ და მერე წყალს გაა-
ტანო;

სირსვილის გამოლოცვის ბოლოს ნატკენ
ადგილას ქათმის ქონს სამჯერ წაუსვამენ;

ორსულის შელოცვა მუცელზე ხელის გუ-
ლის სამჯერ გადასმით მთავრდება. შეულოცა-
ვენ როგორც ფეხმძიმე ქალს, ისე - მაკე პი-
რუტყვს.

თუ შევაჯამებთ, ჩვენს “გამოლოცვანში”
რიტუალისთვის აუცილებელი საგნებია: წყა-
ლი, ნახშირი, შავტარიანი დანა, მარილი (ან
ღერლილი), ჯოხი, ნიგვზის ფოთოლი (ან ლება-
ნი), თხილის ჯოხი, ტყემლის ტყლაპი, ბამბა,
ქათმის ქონი, სავარცხელი, პურის ნაჭერი, სა-
ცერი, წითელი ძაფი და ნემსი. თუ გავითვალის-
წინებთ, შეშინებულის გამოლოცვასთან ერ-

თად, სამკურნალოდ გავრცელებულ საშუალება ტყვიის გადადნობას, მაშინ ზემოთ ჩამოთვლილ საგნებს დაემატება: მაგრატელი, ღობის ჩხირი, კვირისტარი, თეფში და თოფში გატარებული ტყვია.

მეც ასე ვიყავი ჩართული ამ სინკრეტული ჟანრის რიტუალში. სიტყვისა და მოქმედების ერთიანობით თითქოს უჩვეულო განწყობა იქმნებოდა და, ჩემ გარდა, ყველას სჯეროდა რაღაც აუხსნელი სასწაულისა, რადგან მაშინაც კი ეს ყველაფერი ჩემთვის თამაშის ელემენტი იყო - ვერთობოდი და მომწონდა შემლოცავ-მკურნალის როლი.

გამოლოცვა, უმთავრესად, სამჯერ წარმოითქმება, თუმცა ზოგჯერ ერთხელაც ვამბობდით. ფაქტობრივად, სისტემას ერთხელ და სამჯერ წარმოთქმა ქმნის (ვრცლად იხ. ხაჭაპურიძე 2004: 344-351). ეს სახეობაც წმინდად ქრისტიანულ-საკრალურია. საინტერესოა ისიც, რომ ქმედება, რიტუალი ახლავს საეკლესიო საიდუმლოებებსაც (ჯვრისწერა, ნათლობა, ზიარება თუ სხვ.) ამიტომ, “კურთხევანებში” მუდმივად არის მინიშნებები, მაგალითად ასეთი: “ამათ ოთხთა ლოცვათა ჯერ არს ათვზის თქუმად და ჯუარისა დაწერად და შებერვად”

(დიდი კურთხევანი 2002: 97). პ. უმიკაშვილის თავმოყრილ შელოცვებში არაერთგან შეგხვდებათ: “სამჯერ იტყვის, შეუბერავს და ნახ-შირს მოატარებს” (უმიკაშვილი 1964: 148). ჯვრის გამოსახვაც და შებერვაც, რომლებიც შელოცვის რიტუალის ნაწილიც გახდა (ჩვენს გამოლოცვებში ასეთია გათვალისა და დამწვრობისა), ლიტურგიკული ტექსტებიდანაა ნასესხები. შებერვისას ზოგჯერ ამბობდნენ “ფუ!” - ესეც ნათლობის რიტუალიდან მოდის: “შეპბეროს მას სამგზის პირსა და ჯუარი საწეროს შუბლსა მისსა და პირსა და მკერდსა” (იქვე: 93). ნათლობის წეს-განგება ითხოვს დიალოგს კათაკმეველსა (მოსანათლს) და მოძღვარს შორის. ერთგან ასეა განჩინებული: “პრქუას მღდელმან გ-ჯერ: იჯმენა ეშმაკისა-გან? და პრქუას კათაკუმეველმან: ვიჯმენ. და ოდეს პკითხოს სამგზის, მერმე პრქუას მღდელმან: შეპბერე მას” (იქვე: 98). დღეს კი ჩვენს ეკლესიაში, მცირე კურთხევანის მიხედვით, ნათლობის ამ წესს ემატება შეკითხვა: “განაგდებ სატანასა? მიუგებს კათაკმეველი, ანუ მიმრქმელი - განვაგდებ! და რაუამს თქუას ეს სამგზის, მღუდელი ეტყვის: **შეპბერე და შე-ნერწყუე მას!** და ეგრეთ პყოფს! (ნათლობის

წესი 1996: 122). სწორედ ამ ადგილას “შებერვა და შენერწყვა” გამოიხატება სიტყვებით “ფუი ეშმაკს!”

ბევრი რამ გამოლოცვის რიტუალში შემოსულია საეკლესიო მსახურებიდან. გარდა იმისა, რომ არსებობს ფერხთბანვის, ნათლისღების, წყლის კურთხევის... წეს-განგებანი, რომლებიც მოითხოვენ მკაცრად განსაზღვრულ და რეგლამენტირებულ წესებს. ეკლესიის წიაღშივე აღესრულება განსაკუთრებული ძალის ლოცვები ლახვრისა და კვეთებულისა³.

ჩვენი აზრით, გამოლოცვებში ასე სიმბოლოდ დადებული შავტარიანი დანა ლახვრის ჩანაცვლებაზე უნდა მიგვითითებდეს. არა მარტო შეშინებულისა და გათვალისწინებულის გამოლოცვანში, არამედ სხვებშიც აქტიურად გამოიყენებენ დანას. მას (ლახვრის მსგავსად) ადებენ ნატკენ ადგილას, მაგალითად: “როდესაც ადამიანს გაუწყდება კისრის ან ზურგის ძარღვი, მაშინ შემლოცველი აიღებს შავტარიან დანას, რომელსაც დაადებს იქ, სადაც ტკივილსა გრძნობს და შეულოცავს” (შიომვილი 1994: 151). თუ კვეთებულის ლოცვა იკითხება სხეულიდან ეშმაკის განსადევნად, თუ კურთხევანებში მრავლადაა “ლოცვად ღელვაგვემულთა

ზედა სულთაგან არაწმიდათა”, ლოცვად წმიდისა ბასილისი მაოტებელად სულისაგან ყოვლისავე ბოროტისა და არაწმიდისა სულისა”, “ლოცვად წმიდისა იოვანე ოქროპირისად სულთათვის არაწმიდათა” (დიდი კურთხევანი 2002: 355-356, 367), არსებობს სპეციალური გამოლოცვებიც, რომლებიც ცნობილია “ავი სულების მოსაშორებლის” სახელით.

რაც შეეხება გამოლოცილ წყალს, ის ნაკურთხი წყლის ანალოგით ჩნდება, ხოლო ნახშირით შუბლზე ჯვრის გამოსახვა ზეთის ცხების მოდიფიკაციად შეიძლება მივიჩნიოთ.

ლოცვის დროს ცრემლი სულიწმინდის მადლად ითვლება, ლოცვის სრულყოფილ სახეობად. გამოლოცვებშიც არის შემოსული ეს მდგომარეობაც, იშვიათად, მაგრამ მაინც დაფიქსირებულია, რომ, მაგალითად: სურდოს გამოლოცვისას “შემლოცველს თვალზე ცრემლი წამოუვა” (შიომვილი 1994: 86).

მთქნარების, შავტარიანი დანის, ნახშირის, ცრემლისა და რიტუალისთვის აუცილებელი სხვა თანმხელები ატრიბუტების შესახებ ცნობები მრავლდაა დაცული პ. უმიკაშვილისა და ს. მაკალათიას ჩანაწერებშიც (უმიკაშვილი 1964: 148-190), (მაკალათია 1941: 338-347).

გ ა მ ო ლ ო ც ვ ა ნ ი

ნათვალებისა (გათვალულისა)⁴

სახელითა ხვთითა, მამითა, სულითა წმინდითა
(3 - ჯერ)

ალისასას, მალისასას,
მე გილოცავ თვალისასას,
თვალის ღალოობისასა,
შინაურისასა, გარეულისასას;
თვალბოზისა, თვალქურდისა,
თვალამპარტავანისასა;
წითელწვერა კაცისა, შავწვერა კაცისა,
ჭრელთვალა ქალისა, ჭრელთვალა კაცისა,
შავთვალა ქალისა, შავთვალა კაცისა.
გარევიდა ღობესა, მეიშალა ღონესა;
გააღო კარი, ავარდა ფხარი⁵.
მოკვდა კლდეშავი.
გამოვარდა შავი კაცი,

შავი ლაგამონაგერი⁶.

- სა მიხვალ, შე შავო კაცო? - წმინდა მთავარან-
გელოზმა უბრძანა
- მე მივალ ძვალის სახრავად, ბილის საჭმელად
- არა, მამაძემასულმა⁷ არ გაგიშვას ძვალის სახ-
რავად, ბილის საჭმელად.
ჩაგაგდებ ქვაბსა კარვალისა,
შემოგვიდებ ცეცხლსა ნამთისასას.

დაგნვავ ამ (სახელი)¹ გამთვალავს 365 წელი-
ნადს!

დასწყევლოს 365-მა წმინდა გიორგიმ,
112-მა ხატმა-ჯვარმა
გააქროს, გააწყალოს
ამ (სახელი) გლახა თვალით შემხედავი,
გლახა სულით შემხედავი,
გლახა გულით შემხედავი.
გევიდა სიპზე⁸,
გასკდა ჭიპზე.
მეითხარა ორი ძირი ბალი,
ნამოუვარდა ორი კაკალი თვალი.
ასკილი, ღოღო-მაყვალი,

¹ ამბობენ გამოსალოცის სახელს. აქ და სხვაგანაც
აღვნიშნავთ ფრჩხილებში ჩასმული სიტყვით
„სახელი“.

დამპალი გველი და ბაყაყი,
გახურებული კერია
გულზე ტენია,
სამი კოდი ხვიერო
გულზე ასვია,
სამი კოდი ღვიერო⁹
გულზე აყრია
მის გულსა და მუცელს,
რამა კაცმა და ქალმა
ჩემი (სახელი) გათვალა!

ლმერთო, არგე ლოცვა ჩემი, / შეეწიე მადლი
შენი, / მოუხდინე ლოცვა ჩემი, / ბრძანებაა
ღვთის და / ლოცვა არის ჩემი! (3 - ჯერ).

მოფურჩხულისა¹⁰

სახელითა ხვთითა, მამითა, სულითა წმინდითა
(3 - ჯერ)

რა ხარ, რა ფრინველი ხარ,
ფურჩხი ხარ თუ უჟმური ხარ?!
გავლის ხარ, გამოვლის ხარ,
დღის ხარ, ღამის ხარ?!
გამოდი, გამეეყარე (სახელი)
და სხვა (სახელი) შეეყარეთ.
თავში იყო, თავში გამოდი;
ტანში იყო, ტანში გამოდი!
თავი გამეიარე, ტანი გამეიარე,
ხელის ფრჩხილი გამეიარე,
ფეხის ფრჩხილი გამეიარე,
ადექით და კარი გეიარეთ!
საიდანაც მობრძანებულხართ
იქით წაბრძანდით!
იქ არი დედანი თქვენი,
იქ არი მამანი თქვენი,

იქ არი ძმანი თქვენი,
იქ არი დანი თქვენი,
იქ მეიჩხრიკეთ,
იქ მეითამაშეთ,
ამ (სახელი) ჯვარი დასწერეთ!
შავგულა დოუკლავსყენ,
ადრე მიხვალ შეგინახავს,
გვიან მიხვალ, შეგიჭამენ.
ორშაბათს მოცეცებული ხარ, მაინც მოხტომი-
ლი ხარ!
სამშაბათს მოცეცებული ხარ, მაინც მოხტომი-
ლი ხარ!
ოთხშაბათს მოცეცებული ხარ, მაინც მოხტო-
მილი ხარ!
ხუთშაბათს მოცეცებული ხარ, მაინც მოხტო-
მილი ხარ!
პარასკევს მოცეცებული ხარ, მაინც მოხტომი-
ლი ხარ!
შაბათს მოცეცებული ხარ, მაინც მოხტომილი
ხარ!
კვირას მოცეცებული ხარ, მაინც მოხტომილი
ხარ!
მოხტომილი შვილიანო,
მოხტომილო ძირიანო,
მოხტომილო ნატამალიანო!

წაბრძანდით!
საიდანაც მობრძანებულხართ,
იქით წაბრძანდით!
მე მლოცველი ქალი ვარ,
დაგჩეხავთ წალდით, წაჯახით.
საითაც უკეთესი ადგილი მოძებნოთ,
იქითკენ წადით!

ღმერთო, არგე ლოცვა ჩემი, / შეეწიე მადლი
შენი, / მოუხდინე ლოცვა ჩემი, / ბრძანებაა
ღვთის და / ლოცვა არის ჩემი! (3 - ჯერ).

უუმურისა¹¹

სახელითა ხვთითა, მამითა, სულითა წმინდითა
(3 - ჯერ)

ერუსამეს¹² მივდიოდი,
ვიტყოდი ალსარებასა.
ეშმაკო, ჩამომეთხოვე,
არა ვარ შენსა ნებასა!
მე ქრისტესი ვარ,
ქრისტე ჩემია,
ქრისტეს ბეჭედი დაბეჭდილია.
ექვსო თავნო მოციქულნო:
პეტრე, პავლეს, მანთეს¹³, მარკოს, ლუკა და
ივანე,
სადაც იქნეს მანი-უუმური
გაქრეს და განიავდეს!

ლმერთო, არგე ლოცვა ჩემი, / შეეწიე მადლი
შენი, / მოუხდინე ლოცვა ჩემი, / ბრძანებაა
ღვთის და / ლოცვა არის ჩემი! (3 - ჯერ).

წელკავისა¹⁴

სახელითა ხვთითა, მამითა, სულითა წმინდითა
(3 - ჯერ)

წელკაო წელკავისაო,
თეძო და ბარკალისაო!
წმინდა გოორგო, უშველე,
ხატო და გელათისაო!

ღმერთო, არგე ლოცვა ჩემი, / შეეწიე მადლი
შენი, / მოუხდინე ლოცვა ჩემი, / ბრძანებაა
ღვთის და / ლოცვა არის ჩემი! (3 - ჯერ).

ნალძუებისა¹⁵

სახელითა ხვთითა, მამითა, სულითა წმინდითა
(3 - ჯერ)

გორიალა გორდებოდეს,
მესამე დღეს მორჩებოდეს,
ნაჯორჯები ჯორდებოდეს,
მესამე დღეს მორჩებოდეს.
ევა დეეცა, დევა დეეცა
სამა და სამი დღის ვადით,
უცხო ფრინველმა
უცხო მინდორში
ბუდე დეიდგა
სამა და სამი დღის ვადით,
ძვალმა ირეწკა¹⁶,
ხორცმა იქრთო¹⁷
სამა და სამი დღის ვადით,
კრავმა იბლავლა,
ცხვარმა ჩაყლაპა
სამა და სამი დღის ვადით.

ლმერთო, არგე ლოცვა ჩემი, / შეეწიე მადლი
შენი, / მოუხდინე ლოცვა ჩემი, / ბრძანებაა
ღვთის და / ლოცვა არის ჩემი! (3 - ჯერ).

ორსულის შეღოცვა

სახელითა ხვთითა, მამითა, სულითა წმინდითა
(3 - ჯერ)

აინძრა, მაინძრა,
მინა ინძრა, ზღვა ინძრა.
ყოველი სულიერი,
ყოველი ოთხფეხი (თუ ქალს ულოცავ, იტყვი -
ორფეხი)
ინძრა და დადგა
დროდან დრომდი
ამ (სახელი) მუცელში.

ღმერთო, არგე ლოცვა ჩემი, / შეეწიე მადლი
შენი, / მოუხდინე ლოცვა ჩემი, / ბრძანებაა
ღვთის და / ლოცვა არის ჩემი! (3 - ჯერ).

სირსვილისა¹⁸

სახელითა ხვთითა, მამითა, სულითა წმინდითა
(3 - ჯერ)

სირსვილი ხნავდა ყანასა,
ნაფუძველსა¹⁹ და ჭალასა,
მგელი გეება ხარადა,
გველი - აპოურადა²⁰.

გახტნა მგელი,
გაწყდა გველი,
სირსვილს ამოუვარდა
ფესვი და ძირი!

ღმერთო, არგე ლოცვა ჩემი, / შეეწიე მადლი
შენი, / მოუხდინე ლოცვა ჩემი, / ბრძანებაა
ღვთის და / ლოცვა არის ჩემი! (3 - ჯერ).

ბლიერისა²¹

სახელითა ხვთითა, მამითა, სულითა წმინდითა
(3 - ჯერ)

ახლა ღიერო, ღიერო,
უსახლკარო და მშიერო.
ღიერი მოდგა კარსაო,
აყვრიალებდა თვალსაო.

- ქალო, რას ხარჩავ მაგასო?
- კურმუხოსა²² და წაქასო,
- შაფათს წაგისვამ წამალსო,
- კვირეს არ გკითხავ წასვლასო.

ღმერთო, არგე ლოცვა ჩემი, / შეეწიე მადლი
შენი, / მოუხდინე ლოცვა ჩემი, / ბრძანებაა
ღვთის და / ლოცვა არის ჩემი! (3 - ჯერ).

ჭვალისა

სახელითა ხვთითა, მამითა, სულითა წმინდითა
(3 - ჯერ)

დიდი, დიდი, დიდებული,
ზედ სახტარი²³ შენებული,

ლოდია მიყუდებული.

ვკარი ხელი, წავაქციე.

პეტრემ უთხრა პავლესაო

- რად არა ჭამ პურსო
- მით არა ვჭამ პურსო,
ჭვალი მასვია გულსო!
- რა არის მისი წამალი?
- ცივი წყალი, ცივი რკინა,
თვით ამოსული კანაფი
გადავკიდე ფხარსაო²⁴,
ის გააქრობს ჭვალსაო!

ღმერთო, არგე ლოცვა ჩემი, / შეეწიე მადლი
შენი, / მოუხდინე ლოცვა ჩემი, / ბრძანებაა
ღვთის და / ლოცვა არის ჩემი! (3 - ჯერ).

ლორის ხოკისა²⁵

სახელითა ხვთითა, მამითა, სულითა წმინდითა
(3 - ჯერ)

ხოკო-ხოკო ხოროკინა,
ცხრაო ძმაო ზაზანდარო.
გაღმა ხარი გამევიდა
ნაჩალარის ბოლოზეო.
მიჯანჯალდი, მოჯანჯალდი
კარსა საღორისასაო.
ვახუშტილა შეეყარა:
ნეშო, წადი ტყედო,
მე რომ არ წამოგსწრებოდი,
მიგიშობდა ყიასაო²⁶!

ლმერთო, არგე ლოცვა ჩემი, / შეეწიე მადლი
შენი, / მოუხდინე ლოცვა ჩემი, / ბრძანებაა
ღვთის და / ლოცვა არის ჩემი! (3 - ჯერ).

წყლისა²⁷

I ვარიანტი

სახელითა ხვთითა, მამითა, სულითა წმინდითა
(3 - ჯერ)

ახლა წყლისაო, წყლისაო,
საბარცხალო და მზისაო,
წყლისა ხარ და გაპარვისაო.

ღმერთო, არგე ლოცვა ჩემი, / შეეწიე მადლი
შენი, / მოუხდინე ლოცვა ჩემი, / პრძანებაა
ღვთის და / ლოცვა არის ჩემი! (3 – ჯერ).

წყლისა

II ვარიანტი

სახელითა ხვთითა, მამითა, სულითა წმინდითა
(3 - ჯერ)

ანი იყო, ბანი იყო,
წყალთა შუა ნავი იყო²⁸,
წყალის პირზე სახტარია,
იქავ დედაკაცი იყო.
დედაკაცო, მომიტანე
კალამი და კალმის პირი²⁹.
ავალ ზეცას,
ვეტყვი დედას,
მომცემს ისარს,
დავკრავ წყლისას,
წყლისა-მტრისა,
საბარცხალო მზისა.
სამი ძმები მიდიოდენ

სამებისა მადსა.
ერთს ქვიოდა კეკენახა,
მეორესა - კუკუნახა,
მესამესა - თვალნამისა,
წყლისა ხარ და
წყლისა გაპარვისა!

ღმერთო, არგე ლოცვა ჩემი, / შეეწიე მადლი
შენი, / მოუხდინე ლოცვა ჩემი, / ბრძანებაა
ღვთის და / ლოცვა არის ჩემი! (3 - ჯერ).

თვალის ტკივილისა

სახელითა ხვთითა, მამითა, სულითა წმინდითა
(3 - ჯერ)

წითელმა წითელი გადიტანა,
თეთრმა თეთრი გადიტანა.

დარჩა შავი -

მშვიდობიანი და ხალისი³⁰.

- რა არის მისი წამალი?
- ია და ვარდი, ქალის რძე,
- წითელი ძაფი და ნემსი

ღმერთო, არგე ლოცვა ჩემი, / შეეწიე მადლი
შენი, / მოუხდინე ლოცვა ჩემი, / ბრძანებაა
ღვთის და / ლოცვა არის ჩემი! (3 - ჯერ).

ნაცოხრისა³¹

I ვარიანტი

სახელითა ხვთითა, მამითა, სულითა
წმინდითა (3 - ჯერ)

ივანე მიდიოდა
მაისისა პარასკევსა,
რკინა მიაქვს რკინეთისა
და აღვირი სპილენძისა.
ვესროლე კლდესა,
მოხვდა მტერსა.
უხუ მგელსა,
სისხლი მტერსა,
ნაცოხარი ამეიღე! (3-ჯერ)

ღმერთო, არგე ლოცვა ჩემი, / შეეწიე მადლი
შენი, / მოუხდინე ლოცვა ჩემი, / ბრძანებაა
ღვთის და / ლოცვა არის ჩემი! (3 - ჯერ).

ნაცოხრისა

II ვარიანტი

სახელითა ხვთითა, მამითა, სულითა წმინდითა
(3 - ჯერ)

ე, გიორგი ბაბასილი,
შვილი ასტანდელი³²,
მამა აფხაზელი
აღმა დადიოდენ,
დაღმა დადიოდენ,
მას დაქონდა ცელი-ცულდი,
ნამგალი და კაკანახი.
ქრისტე ღმერთო, რა შეგცოდე,
რად დამართე ბაბასილი³³,
უხუ მგელსა,
სისხლი მტერსა,
ნაცოხარი ამეილე! (3-ჯერ)

ღმერთო, არგე ლოცვა ჩემი, / შეენიე მადლი
შენი, / მოუხდინე ლოცვა ჩემი, / ბრძანებაა
ღვთის და / ლოცვა არის ჩემი! (3 - ჯერ).

ნაცოხრისა

III ვარიანტი

სახელითა ხვთითა, მამითა, სულითა წმინდითა
(3 - ჯერ)

ამი ოფელი,
მანი ოფელი,
სამი ურია,
სამი თათარი,
ჭალას ჩასულიყვენ,
მჭედელი სამჭედურშია.
მიხრა-მოხრა კედელიო,
შეგვიჭამა მჭედელიო.
უხუ მგელსა,
სისხლი მტერსა,
ნაცოხარი ამეიღე! (3-ჯერ)

ღმერთო, არგე ლოცვა ჩემი, / შეეწიე მადლი
შენი, / მოუხდინე ლოცვა ჩემი, / ბრძანებაა
ღვთის და / ლოცვა არის ჩემი! (3 - ჯერ).

შაკიკისა³⁴

| ვარიანტი

სახელითა ხვთითა, მამითა, სულითა წმინდითა
(3 - ჯერ)

შაკიკი შემომეჩვია
სათივისა ბოლოსაო,
ისე ჭამდა რკინასაო,
როგორც ხარი - თივასაო.
დასწყევლა წმინდა გიორგიმ,
გეიპარა დილასაო.

ღმერთო, არგე ლოცვა ჩემი, / შეეწიე მადლი
შენი, / მოუხდინე ლოცვა ჩემი, / ბრძანებაა
ლვთის და / ლოცვა არის ჩემი! (3 - ჯერ).

შაკიკისა

II ვარიანტი

სახელითა ხვთითა, მამითა, სულითა წმინდითა
(3 - ჯერ)

აკიკი-მაკიკი,
ქალო მარიამ, რას სტირი?!
- რავა რას ვტირი?!
ჩემი შვილი
ბურთს ბურთაობს.
ქრისტეს მოხვდა,
ქრისტემ ბრძანა:
- რა არის მაგის წამალი?
-სამყური კატაპარდაცილი
აცხე შუბლსა,
ავლე თვალსა³⁵,
ის გააქრობს შაკიკისა!

ღმერთო, არგე ლოცვა ჩემი, / შეეწიე მადლი
შენი, / მოუხდინე ლოცვა ჩემი, / ბრძანებაა
ღვთის და / ლოცვა არის ჩემი! (3 - ჯერ).

დამწვრობისა³⁶

სახელითა ხვთითა, მამითა, სულითა წმინდითა
(3 - ჯერ)

ელი ელობდა, მელი მელობდა,
წითელზუცესა ხარი გეება,
ზღვა ხნავდა, ქვიშა თესავდა.
ვის გოუგონია ზღვა ხნული, ქვიშა თესილი,
დამწვარი წამს იქით გაგრძელებულიყოს?!

ღმერთო, არგე ლოცვა ჩემი, / შეეწიე მადლი
შენი, / მოუხდინე ლოცვა ჩემი, / ბრძანებაა
ღვთის და / ლოცვა არის ჩემი! (3 - ჯერ).

გველის ნაკბენისა

სახელითა ხვთითა, მამითა, სულითა წმინდითა
(3 - ჯერ)

შავი, შავი შამელია,
შავი გველი ვეშაპია,
აფაქიასა ქალია,
აფაქიასა ცოლია!
ტიტი-ტიტი ტიტმანასა,
ანახი და ჩანახი,
სამი გუთანი წყალი.
კოლო ვარ, კოლო ყვითელი,
კაბა მაცვია წითელი,
თხილისა ჯოხი მიჭირავს,
გველისა სატკაცუნებელი.
გველი მოკვდეს,
ნაკბენი მორჩეს (3-ჯერ)

ღმერთო, არგე ლოცვა ჩემი, / შეენიე მადლი
შენი, / მოუხდინე ლოცვა ჩემი, / ბრძანებაა
ღვთის და / ლოცვა არის ჩემი! (3 - ჯერ).

შეშინებულისა³⁷

სახელითა ხვთითა, მამითა, სულითა წმინდითა
(3 - ჯერ)

გულო შინა-შინა,
გულო, რამ შეგაშინა,
ძალლმა შეგაშინა,
კაცმა შეგაშინა,
ქალმა შეგაშინა,
ბოვშვმა შეგაშინა
თუ ვინ შეგაშინა?!
მაინც ნუ შეშინებულხარ, გულო!
მაინც ნუ შეშინებულხარ, ფერო!
მაინც ნუ შეშინებულხარ, ძვალო!
მაინც ნუ შეშინებულხარ, ბილო³⁸!

(თქვი მისი სახელი, ვისაც ულოცავ...)

გული გულთან იყოს,
ფერი ფერთან იყოს,
ძვალი ძვალთან იყოს,
ბილი ბილთან იყოს!

ორშაბათს შეშინებულხარ? - მაინც ნუ შეშინებულხარ, გულო!

სამშაბათს შეშინებულხარ? - მაინც ნუ შეშინებულხარ, გულო!

ოთხშაბათს შეშინებულხარ? - მაინც ნუ შეშინებულხარ, გულო!

ხუთშაბათს შეშინებულხარ? - მაინც ნუ შეშინებულხარ, გულო!

პარასკევს შეშინებულხარ? - მაინც ნუ შეშინებულხარ, გულო!

შაბათს შეშინებულხარ? - მაინც ნუ შეშინებულხარ, გულო!

კვირას შეშინებულხარ? - მაინც ნუ შეშინებულხარ, გულო!

დიღას შეშინებულხარ? - მაინც ნუ შეშინებულხარ, გულო!

სადიღზე შეშინებულხარ? - მაინც ნუ შეშინებულხარ, გულო!

შუადღეზე შეშინებულხარ? - მაინც ნუ შეშინებულხარ, გულო!

სამქრობაზე³⁹ შეშინებულხარ? - მაინც ნუ შეშინებულხარ, გულო!

ვახშმობაზე შეშინებულხარ? - მაინც ნუ შეშინებულხარ, გულო!

შუალამეს შეშინებულხარ? - მაინც ნუ შეშინე-
ბულხარ, გულო!

გულო, მოდი საგულესა, შეგიკერავ კაბასა და
სამგუნესა!

გულო, ადექი - დადექი,

შენ საბუდეში ჩადექი,

გარეთ ტურა-მგელი შეგჭამს (3 - ჯერ)

ღმერთო, არგე ლოცვა ჩემი, / შეეწიე მადლი
შენი, / მოუხდინე ლოცვა ჩემი, / ბრძანებაა
ღვთის და / ლოცვა არის ჩემი! (3 - ჯერ).

**მთქმელი – ბარბარე (ოლია) გიორგელიძე –
ფურცხვანიძისა**

ჩანერილია 1980 წელს ქ. წყალტუბოს ზონის
სოფელ სორმონში

ტყვიის გადადნობა

ტყვიას მაშინ გარავადნობთ, როცა ადა-
მიანი შეშინებულია, შიშს ჰყავს ატანილი, ყვე-
ლაფერი აფრთხობს და აშინებს.

ტყვიის გადადნობის წესი ასეთია - უნდა
მოვძებნოთ:

9 წყაროს წყალი (გვარი სულერთია)

9 ოჯახის მჭადის ფქვილი (გვარი სულერ-
თია)

9 სხვადასხვა გვარის ღობის ჩხირი

9 სხვადასხვა გვარის მლოცვი ქალი და უნ-
და შეულოცოს შეშინებულის წყალს და დაფ-
ქულს.

დაქთული უნდა გავცრათ 9-ჯერ და გავაკე-
თოთ ღომი ამ 9 სხვადასხვა გვარის ღობის ჩხი-
რით. თუ ფქვილი მოგვრჩება, შეშინებულს
მჭადს გამოვუცხობთ.

ღომი შელოცვილი წყლით კეთდება.

ავიღებთ თოფში გატარებულ ტყვიას. საინ-
ზე⁴⁰ დავასხამთ წყალს, დავდებთ მარგატელს
და მარგატელზე - კვირისტარს. ავადულებთ

ტყვიას, გავატარებთ კვირისტარში⁴¹, კვირისტარიდან გაივლის მარგატელს და ჩავა წყალში. რა ფიგურაც დეიხატება, იმისგან იქნება შეშინებული.

ტყვიას ვადნობთ დილას უზმოზე. 3-ჯერ დილაობით, ზედიზედ. თითო გადადნობაზე 3-ჯერ და 9 ლუკმალომს ვაყოლებთ. მესამე დღეს რაც ამოვა, შევიმბავთ გულზე და ვატარებთ 9 დღე. მეცხრე დღეს ვაგდებთ მდინარეში.

რამდენ ლუკმალომს შეჭამ, იმდენი ნალოცი ერთი ყლუპი წყალი⁴² უნდა დაყოლო.

მთქმელი - მინადორა სულაქველიძე

ჩაწერილია 1981 წელს ქ. წყალტუბოს ზონის სოფელ რიონში

შენიშვნები და კომენტარები

1. ჯერ კიდევ 1896 წელს ალექსანდრე ხა-
ხანაშვილმა უურნალ “კვალში” გამოაქვეყნა
წერილი “კარაბადინში დაცული შელოცვანი”.
მისი აზრით, ევროპის ერთა შელოცვანი მომ-
დინარეობენ ეგვიპტიდან ან ასურეთ-ბაბილო-
ნიდან. ამ წერილში შესულია სულ ექვსი შე-
ლოცვა:

- “ლოცვა თვალში ფრჩხილისა”;
- “ლოცვა წითელი ქარისა”;
- “ლოცვა დუდგისი” (თითთა წყლულე-
ბა);
- “ლოცვა მუცლის ტკივილისა”;
- “ლოცვა თვალებისა”;
- “მინაზე აყოლილის შეტყობა, წამალი
და ლოცვა” (ხახანაშვილი 1896: 250).

2. ზოგადად, “ევქოლოგიონი” ანუ “კურ-
თხევანი”, ტრადიციისამებრ, ორი ნაწილისაგან
შედგება: ა) უამისნირვები; ბ) კურთხევითი
ლოცვები და წეს-განგებანი. “კურთხევანის”
უძველესი რედაქცია X ს.-დან არსებობს სა-
ქართველოში და უძველესი “კურთხევანი”

იერუსალიმურ-პალესტინური რედაქციისაა. იგი მოიცავდა პირუტყვთა და ცხოველთა მსხვერპლად შენირვის ლოცვებს (ჩვენამდე ფრაგმენტული სახით მოაღწია). X ს.-ის ეს ქართული ხელნაწერი წიგნი ინახება სინის მთაზე. “კურთხევანის” ახალი, კონსტანტინეპოლისური რედაქცია ეკუთვნის ექვთიმე ათონელს. გიორგი მთაწმინდელმა თარგმნა და შეადგინა “დიდნი კურთხევანი”, რომელშიც თავმოყრილია საეკლესიო პრაქტიკაში ამა თუ იმ საკითხზე დადგენილი ყველა ლოცვა. სწორედ ამ კურთხევანმა მიიღო კანონიური მნიშვნელობა. სამწუხაროდ, მისი ყველაზე ადრეული ხელნაწერი XIII-XIV სს.-ით თარიღდება და დაცულია სინის მთის ქართულ კოლექციაში. მოგვიანებით, XVIII ს.-ში, კვიპრიანე სამთავნელმა ბერძნულიდან ქართულად კიდევ ერთხელ თარგმნა “კურთხევანი” და დაუახლოვა იგი ბერძნულ პრაქტიკას. კვიპრიანეს თარგმანი ორი - შემოკლებული და ვრცელი - რედაქციით არის გავრცელებული. ძალიან მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ გიორგი მთაწმინდელის მიერ 1042-1044 წლებში (მისი დეკანოზობისას) თარ-

გმნილი “დიდნი კურთხევანი” კანონიკური ძალის გახდება რუის-ურბნისის საეკლესიო კრების სინოდალური სანქციით;

საინტერესოა ისიც, რომ “დიდი სინური კურთხევანის” (XII-XIII სს.) რედაქციულ თავისებურებებზე თავის გამოკვლევაში ე. კოჭლამაზაშვილს ცალკე თავად (XIII თ.) აქვს გამოყოფილი “აპოკრიფული კურთხევანი”. ჩამონათვალი საკმაოდ შთამბეჭდავია. ჩვენ მხოლოდ სამკურნალო შელოცვების არასრულ სიას მოვიყვანთ ნიმუშად:

- “კბილთა ტკივილისათის წმიდისა ანტიპასი”;
- “სხუად ლოცუად კბილისად”;
- “ლოცვად შაკიკისა ჭეშმარიტი”;
- “მჯდომისა და მსივნისათვის და კორძისა და საწერელისათვის”;
- “ლოცვად ყოვლისა სენისა და სულთაზედა ვნებულთა”;
- “ლოცვად ცხროსა ზედა და ხურვებასა”;
- “ლოცვად ხოკისა”;
- “ლოცვად მრავლისა სენისა” (კოჭლამაზაშვილი 2002: 90-92);

3. ლახვრის ლოცვაზე ცნობები შუა საუკუნეებიდან იწყება. მას ასრულებდნენ ღირსი მამები, მოძღვრები. სავარაუდოდ, მათი შედგენილია ლოცვების კრებული, რომელიც დიდი მადლმოსილების მატარებელია. ლახვრის ლოცვის შესრულებისას იკითხება სამი ლოცვა: პირველში მოიხსენიება უფლის ჯვარცმა; მეორე მიმართვაა უფლისადმი, რომ ჯვარცმით გამოისყიდოს ავადმყოფი წყევლისაგან, ხოლო მესამე ლოცვა ეხება „ლახვრით განგმირვას“. იკურთხება ღვინო და წყლის ნაზავი სისხლად, პური - ხორცად. სამივე ლოცვის შუალედებში სამჯერ გამოისახება ჯვარი და ჯვრითვე ეხებიან მტკიცნეულ ადგილს. კვეთებულის ლოცვის დროს სხეულიდან ეშმაკი განიდევნება, ლახვრის ლოცვა კი მიმართულია უშუალოდ მწვავე ტკიცილის განსაქარვებლად.

წირვის დასაწყისში მღვდელმსახური პროსკომიდიას, ანუ სეფისკვერზე კვეთას, აღასრულებს ლახვრით და ამზადებს წინადაგებულ ძღვენს. ამიტომაც გამოიყენება ეს ლახვარი ლოცვის დროს.

ბარემ აქვე ვიტყვით “ფსალმუნთა” შესახებაც. ბუნებრივია, მან ლოცვის ყველა ფორმაზე მოახდინა გავლენა და შევიდა ქრისტიანული

ღვთისმსახურების თითქმის ყველა სახეობაში. “ფსალმუნთა” წიგნებს ზოგჯერ დართული აქვს მინიშნება “ფსალმუნთა კითხვის წესი ყოველგვარი საჭიროებისათვის წმიდა მამათა რჩევა-დარიგებების მიხედვით”, რომელიც განვიმარტავს, რომ, მაგალითად: მე-10, 90-ე და 142-ე ფსალმუნები პოროტ სულთაგან თავ-დასახსნელია; მე-6 ფსალმუნი თვალის ტკივი-ლისთვის, ხოლო 146-ე ნაკბენის განსაკურნებ-ლად იკითხება; ჯადოს, მისნებისა და ჯად-ოქრობის საწინააღმდეგოა ფსალმუნები: 49, 53, 58, 63, 139; სწეულებების ჟამს წასაკითხი: 29, 46, 69 და ა.შ. გამოიცა ლოცვანის ტიპის კრებულიც, ტროპარ-კონდაკები “წმიდანი მკურნალნი და მეოხნი ჩვენნი წინაშე ღმრთი-სა”. მასში შეტანილია კუჭის, ხელების, ფეხე-ბის, მკერდის, ყელის, თავის, კბილის... ტკივი-ლი და მითითებულია, რომელი დაავადებისას რომელი წმინდანის ტროპარი ან ტროპარ-კონ-დაკი იკითხება, მაგალითად: თვალის ტკივი-ლისას უნდა წავიკითხოთ წმიდა შუშანიკ დე-დოფლის ტროპარ-კონდაკი, ცხელებისას წმი-და დიდმოწამე ქეთევანის ტროპარი, უშვილო-ბისას წმიდა ნინოსა და წმიდა შუშანიკის ტრო-

პარები, ყოველთა სწორულებათა ზედა წმიდა გიორგის ტროპარი და ა.შ.. შემდგენელი გვაუწყებს: “მრავალსაუკუნოვანი ეკლესიური გამოცდილებებით ცნობილია, რომ თავის ტკივილის დროს შემწედ მოუხმონ წმიდა იოანე ნათლისმცემელს, თვალის ტკივილისას - წმიდა მოწამე ლონგინოზ ასისთავს, წმიდა მლვდელმოწამე ანტიპა ითვლება შემწედ კბილის ტკივილის დროს (წმიდანი მკურნალნი 1998: 5), თუმცა რომელი გამოცდილება იგულისხმება, მითითებული არაა.

4. ამ გამოლოცვაში გვხვდება, ზოგადად, გავრცელებული ფორმულა: “გამოვარდა შავი კაცი... სა მიხვალ, შე შავო კაცო? - წმინდა მთავარანგელოზმა უბრძანა. მე მივალ ძვალის სახრავად, ბილის საჭმელად”. როგორც დადგენილია, ეს სახე გვხვდება ჯერ კიდევ ჩ-1331 XIV-XV სს.-ით დათარილებულ კრებულის ფრაგმენტულ შელოცვაში (აღნერილობა, III, 1948: 272); ასევე, კარაბადინში დაცულ დუდგოს (თითთა წყლულია - ს.მ.) შელოცვაში: “გამოვიდა შავი კაცი, შავი შემოსილებითა” (ხახანაშვილი 1896: 250). მსგავსი სახეებია მე-18 საუკუნის “კარაბადინში” დაცულ “შელოცვა

თავ-ყბისაში”: “გამოვიდა შავი კაცი, შავითა შეკაზმული იყო... შეემთხვია მიქელ და გაბრიელ მთავარანგელოზი. კითხეს: საით წახვალ, შავო კაცო” (ახვლედიანი 1978: 90). მსგავსი პარალელებია ამავე კარაბადინის “თვლების, უამისა და უჟმურის” შელოცვებში, ავგაროზის ნუსხური კრებულის “თვალ-ყბის ლოცვაშიც” (იქვე: 90-91).

გათვალისწინებულის შელოცვის დროს ხელში უნდა გეჭიროს შავტარიანი დანა, რომლითაც ნახშირს ჩაჭრი პატარა წყლიან თასში;

5. მხარი;
6. ლაგამ-უნაგირი;
7. მამამ, ძემ და სულინმიდამ;
8. სრიალა ზედაპირის მქონე;
9. გაღვივებული ნაცარი;
10. “მოფურჩხული” ერთგვარი სენია, გაცივებისაგან ტანში მტვრევა; საქართველოში

ამ შელოცვას იხსენიებენ სახელებით: მოყოლილი, აყოლილი, უჟმური, მოხდომილი, მოფეთებული...

ეს გამოლოცვა საინტერესოა იმითაც, რომ მასში ფიგურირებს კვირის დღეთა სახელწოდებანი (ისევე, როგორც - შეშინებულის გამოლოცვაში). როგორც ვარაუდობენ, ეს უნდა იყოს წმინდად ასტოლოგიური სიმბოლიკა, ასტროლატიის სარწმუნოებიდან მომდინარე. ამ რწმენის მიხედვით, კვირის თითოეულ დღეს განაგებდა თავისი მფარველი ანგელოზი, ანუ პლანეტა, „რომელიც განსაზღვრავდა ამ დღე-ებში მომხდარ მოვლენათა არსა და ბუნებას: ორშაბათი - მთვარისა; სამშაბათი - მარსისა; ოთხშაბათი - მერკურისა; ხუთშაბათი - იუპიტერისა; პარასკევი - ვენერასი; შაბათი - სატურნისა; კვირა - მზისა” (სულაძე 1997: 128);

11. ამ შელოცვის ფორმულები გვხვდება მე-18 საუკუნის 819 ხელნაწერ “კარაბადინში”: “მე ქრისტესი ვარ, ქრისტე ჩემი არს”. ასევე, დიდია მსგავსება ჩვენს შელოცვასა და უმიკაშვილის კოლექციისეულ (1870-1880 წწ.) შელოცვას “ძილის მიმცემისა და შიშისა” შორის: “შენ ქრისტესი ხარ, ქრისტე შენია, ქრისტეს

ბეჭდითა დაბეჭდილი ხარ... ოთხო თაო სახარებისანო: მათე, მარკოზ, ლუკა და იოანე!”. (უმიკაშვილი 1964: 187) ან შდრ. მე-19 საუკუნის H-62 ხელნაწერი (ახვლედიანი 1978: 93).

უუმურის შელოცვისთვის საჭიროა საცერი (მერდინი), რომელზეც დავყრით მარილს. ის ხელში უნდა გვეჭიროს და ავადმყოფს მთელ სხეულზე შემოვავლოთ, შელოცვის დამთავრებისთანავე ამ მარილს სახლიდან შორს გადავყრით ან წყალს გავატანთ;

12. იერუსალიმში;
13. იგივე მათე მოციქული;
14. “წელკავი” იგივე წელის გაშეშებაა;
15. “ნაღძუები”, იგივე ნაღრძობი, სახსარში ამოვარდნილია. გამოლოცვისას ავადმყოფს ნაღრძობ ნატკენ ადგილს ნიგვზით შეუზელ და მერე თბილად შეუხვევ;
16. “ირეწკა” რაწკუნს, წკარუნს უნდა ნიშნავდეს;

17. იქრთო, ანუ იკრთო, შეკრთა;
18. “სირსვილი” კანის დაავადებაა, ახა-
სიათებს წვრილი გამონაყარი და ძლიერი ქავი-
ლი, აქერცვლა, იგივე მუნი, მღერი. ამ გამო-
ლოცვის სიტყვიერი ფორმულები: “სირსვილი
ხნავდა ყანასა... მგელი გეება ხარადა, გველი
აპოურადა” უთუოდ მომდინარეობს მე-14 საუ-
კუნის ხელნაწერ “კურთხევანში” შესული
“მძრომის” (გველის - ს.მ.) შელოცვიდან: “ქუ-
ჯელ ხნვიდა ყანასა, გუელნი ებნეს უღელსა”
(ჩიქოვანი 1956: 291). აგრეთვე, ჩვენი გამო-
ლოცვა სიახლოვეს ამჟღავნებს პ. უმიკაშვი-
ლის კოლექციის ლოცვებთან “მუნისა” 91:
“მუნი ხვნიდა ყანასაო, ყანა ნაფუძვარასაო,
მგელი ხარათაო, გველი ამპოურათაო” და 93:
“მგელი ება ხარათა, გველი აპეურათა” (უმი-
კაშვილი 1964: 174).
19. ნაფუძარი;
20. ტაბიკების (უღელში წყვილად ჩაყრი-
ლი თავმსხვილი ჯოხი საქონლის შესაბმელად)
გადასაბმელი თოკი;

21. “ბლიერი” (იგივე სირსვილი) - მუნი, მღერია (კანის დაავადება);
22. სავარაუდოდ, უნდა ნიშნავდეს “კულმუხოს” (მრავალწლოვანი სამკურნალო ბალახი);
23. საყდარი;
24. იგივე მხარი;
25. ხოკი ღორის დაავადებაა;
26. ხახა, მაგრამ ეს ფრაზა აქ მთლიანად აბრაკადაბრაა;
27. “წყლისა” ძუძუს დაავადება, სარძევე ჯირკვლის ანთებაა (მასტიტი). შელოცვისას საქონელს სავარცხელს უსვამენ ძუძუზე;
28. მე-14 საუკუნის ნუსხური H-1331 კრე-ბული შეიცავს “ლოცვად წმიდისა მმარხველი-სახს”. იქვე დართულია ცნობა ამ შელოცვის სიძველის თაობაზე: “ეს მაშინ იყო, ოდეს ცად

არა იყო, ქუეყანად არა იყო, ბნელი იყო. წყალნი იყუნეს, წყალთა ზედა ნავი იყო” (აღნერილობა 1948: 271). ამ ვარიანტთან მსგავსებას ამჟღავნებს პეტრე უმიკაშვილის კოლექციაში დაცული ლავრენტი მათიკაშვილის ჩანერილი შელოცვის ტექსტი: “ანი იყო, ბანი იყო, წყალთა შუა ნავი იყო” (უმიკაშვილი 1964: 147). ამათი იდენტურია ჩვენი გამოლოცვაც;

29. “კალამი” სარეველა ბალახია, წესით, უნდა იყოს “კალამი და კალმის ძირი” და არა - პირი;

30. ამ გამოლოცვის ფორმულები ემთხვევა შაკიკის ცნობილ შელოცვას, რომელიც შესულია მე-18 საუკუნის “კარაბადინში”: “თეთრმან თეთრი აიღო, წითელმან წითელი აიღო, შავი ზედ დარჩა მშვიდობით”. მსგავსი ვარიანტია უმიკაშვილის კოლექციაშიც: “თეთრმა თეთრი აიღო, წითელმან წითელი აიღო, დარჩა შავი მშვიდობით” (უმიკაშვილი 1964: 187);

31. “ნაცოხარი” ღეჭვასთან, ცოხნასთან დაკავშირებული დაავადებაა. საქონელს პირში სიგანეზე ჯოხს ჩაუდებენ და ისე შეულო-ცავენ;
32. აქ გასათვალისწინებელია მეზობლებთან ისტორიული დამოკიდებულების ასახვის ტრადიცია ქართულ შელოცვებში. ბოროტი ძალის სინონიმად გვხვდება ლეკი, სომეხი, ურია, თათარი, ზოგჯერ - ოსი და აფხაზიც (დაწვრილებით იხ. ხაჭაპურიძე 2002: 270-271);
33. “ბაბასილი” აქ დაავადება უნდა იყოს, როცა პირუტყვი საჭმელს ვერ ინელებს;
34. “შაკიკი” თავის ერთი მხარის დროგა-მოშვებით ტკივილია. ჩვენი გამოლოცვის ეს ვარიანტი ძალიან ახლოსაა პეტრე უმიკაშვილის კოლექციაში დაცულ “შელოცვა შაკიკისა” 43-თან: “შაკიკი შამოჩვეულა სათიბის ბოლოსა, / ასე ხვრემდა რკინასა, როგორც ხარ თივასა, / გაუწყრა წმიდა გიორგი, გაპარული-ყო დილასა” და “შაკიკისა” 43-ა-სთან: “შაკიკი

შემოეჩვია სათიბისა ბოლოსა, ეგრე სჭამდა რკინასა, როგორც ხარი თივასა, გოუნყრა წმიდა გიორგი გეიპარა დილასა” (უმიკაშვილი 1964: 159).

35. 242 ხელნაწერს ახლავს ცნობები ლოცვების შესრულების წესზე. აქ მოთავსებულ “თვალის ტკივილის შელოცვას” აქვს ასეთი განმარტება: “სამი სამყური მოსწყვიტე და თვალსა მოავლევ” (ახვლედიანი 1978: 94). ხოლო, რაც შეეხება ჩვენს გამოლოცვაში ღვთისმშობლის გაუგებარ პასუხს: “რავა რას ვტირი? ჩემი შვილი ბურთს ბურთაობს”, რაღაცით უნდა უკავშირდებოდეს პეტრე უმიკაშვილის კოლექციაში შეტანილ “თვალის ტკივილის შელოცვას”. იქ მარიამ ღვთისმშობელი ასე განმარტავს: “ურიათა ქორწილია, ქრისტე შვილი წოულია, თვალსა ბურთი მოხდენია” (უმიკაშვილი 1964: 146).

36. გამოლოცვა ენათესავება პეტრე უმიკაშვილის კოლექციაში დაცულ “დამწვრის ლოცვის” სამ ვარიანტს 67-68-69. მაგალითისთვის მოვიყვანთ 68, შელოცვა დამწვრისას:

“ელი ელობდა, მელი მელობდა, წითელ ხუცეს-სა ხარი გაება, ზღვასა ხვნიდა, ქვიშასა თესავ-და. ვის გაუგონია, დამწვარი სამ დღეს რომ კაცს გაყოლოდეს” (უმიკაშვილი 1964: 167).

37. შეშინებულის შელოცვა სრულდება გულზე ხელის დადებით. თუ პატარა ბავშვია, კალთაში ჩაისვამენ, დიდს გვერდით მოისვა-მენ და მკერდზე ხელს დაადებენ, დაამშვიდე-ბენ;

38. რბილი, იგივე ხორცი;

39. სამხარი, სამხრობა;

40. თეფში;

41. თითისტარის (თავსა და ბოლოში ნვრილი, ქვედა ნაწილში გამსხვილებული ჩხი-რი, რომლის ბზრიალით ძაფს ართავენ) ბოლო-ზე ნამოსაცმელი რგოლი ბრუნვის გასაადვი-ლებლად;

42. ნალოცი წყალი პირდაპირი ანალოგიაა ნაკურთხი წყლისა და, რა თქმა უნდა, ნასესხებია ქრისტიანული წყლის კურთხევისაგან. უფრო კონკრეტული და ცხადი მაგალითი იმისა, რომ შელოცვები ეკლესიის საიდუმლოებების გახალხურებაა, ძნელი წარმოსადგენია. შემლოცველი წყალს ბაგეებთან ახლოს მიიტანს და შეშინებულის გამოლოცვას სამჯერ იტყვის. ასე იქცევა ჩვეულებრივი წყალი “ნალოც წყლად”. ამის შემდეგ მას თითქოს მაკურნებელი ძალა ეძლევა.

ქრისტიანული რწმენის მიხედვით, ნაკურთხ წყალს აქვს ადამიანის განახლების, ცოდვების მიტევების, ბოროტთა განსხმისა და კურნების ძალა. სასულიერო პირის მიერ ჯვრის მადლით წყალს მიენიჭება “მადლი გამოხსნისა და კურთხევა იგი იორდანისა”. წყლის კურთხევისას წარმოითქმის: “ჰყავ ესე წყაროდ უხრწნელებისად, სიწმიდისა მომნიჭებელ, ცოდუათაგან გამომხსნელ, სენთა მაოტებელ, ეშმაკთა დამთრგუნველ, წინააღმდეგომთა ძალთა მიუახლებელ, ანგელოსთა ძალითა სავსე” (კალენდარი 1996: 126).

ბოლოთქმის მაგიერ

ცხოვრება ჯოჯოხეთიაო, - მითხრა ერთხელ ცნობილმა რეჟისორმა ლილი იოსელიანმა. ძნელია იმის განჩხრეკა, ვისთვის რა არის ბედნიერება და ვისთვის რატომაა ეს საწუთო მშვენიერი. რაც უნდა პესიმისტურად უდერდეს, ლილი იოსელიანის ამ დასკვნაში არის დიდი სიმართლე. გააჩნია, ვის როგორი გზით ატარებს ცხოვრება, ვის სად წამოეწევა ბედისწერა...

ყოველ ზაფხულს ბებიასთან ვატარებდი. “თუ ოდესმე დანუღრეული ომნიბუსით გიმოგზაურნიათ” ქუთაისიდან გელათისკენ, გემახსოვრებათ მოწამეთის გადასახვევი, ცენტრალური გზიდან მარჯვნივ; ზუსტად იქვე, მარცხნივ, მიუყვება გზა, რომელიც მიგიყვანთ სოფელ **სორმონში** (პირველად 1603 წელს იხსენიება საეკლესიო საბუთებში. კაკაბაძე 1921: 36) - მეტად უჩვეულო სახელის მქონესა და იმერულად კოპნია ადგილას, განთქმული V-VI სს.-ით დათარიღებული დარბაზული ტიპის ყოვლადწმიდა სამების ძლიერი სალოცავით. ეს ეკლესია დგას სოფლის თავზე, მცირე გორაკზე და ნაშენია კლდის ქვისგან (ადგილ-ადგილ თლილი

ქვისა და კირისაგან (ბოჭორიძე 1995: 113). მეორე გზაც მიდის ამ სოფელში - გუმათჰესის ხიდს რომ გასცდებით, მარჯვნივ უნდა გაუყვეთ და მიხვალთ იქ, სადაც, ბებიასთან ერთად, ჩემმაბავშვობამ გაიარა.

ოლია ბებია - ასე მივმართავდი, თუმცა ნათლობის სახელი ბარბარე იყო და პასპორტშიც ასე ეწერა. თერჯოლის რაიონის სოფელ გოდოგანში, სადაც დაიბადა და გაიზარდა, ვალიას ეძახდნენ. ჩემთვის ოლია ბებია იყო, - მარტოსული, სევდიანი, ალალი, მშრომელი, კეთილი, გაუხარელი...

ღვთისმოსავ ოჯახში დაიბადა და გაიზარდა. უღმერთობის ეპოქაში მისი და-ძმები (უფრო ადრე, მშობლებიც: ნესტორი და მაგდანი), - ყველანი, ღვთის მადიდებელი და მსასოებელი იყვნენ - რაუდენი, დონია, ოლია და გიორგი (გოგია). მე-20 საუკუნის 70-80-იან წლებში ყოველ კვირას ქუთაისში, მწვანეყვავილას მთავარანგელოსთა ეკლესიაში წირვაზე ხვდებოდნენ ერთმანეთს.

მწვანე ყვავილას მთავარანგელოზთა ეკლესია გვიანფეოდალური ხანის ქართული არქიტექტურის ძეგლადაა მიჩნეული. მას მდინარე რიონის მარცხენა სანაპიროზე ამაღლებული ადგილი უკავია. ლეგენდის თანახმად, ევროპაში ხანგრძლივი მოგზაურობით დაღლილმა სულხან-საბა ორბელიანმა ქუთაისის ამ ულამაზეს უბანს მიაშურა. ეკლესის მამებს ევროპიდან ნამოღებული უცხო თესლი დაუტოვა. სულ მაღე უბანში მწვანე ყვავილები აყვავდა. მწვანეყვავილაც ამიტომ დაერქვათ. როგორც ამბობენ, ჯერ კიდევ 130 წლის ნინაფი, ნანგრევებს შორის, შემორჩენილი იყო ქვა ასომთავრული წარწერით, რომელიც გვაუწყებდა რომერთი ძეგლი (კერძოდ ბაზილიეული ეკლესია) 1013 წელს აუშენებიათ. ისტორიული წყაროების მიხედვით, მწვანეყვავილას მონასტერი წარმოადგენდა გელათის მიტროპოლიტისა და იმერეთის მეფის მოძღვრის, ზაქარია ქვარიანის, რეზიდენციას. 1889 წელს ინჟინერმა ტარასევიჩს შეუდგენია ახალი ტაძრის პროექტი, რომლის მიხედვითაც ეკლესია იჯარით ააგო ამბავო იამანიძემ. მშენებლობა ძირითადად 1909-1913 წლებში მიმდინარეობდა. 1914 წელს ეკლესია აკურთხა იმერეთის ეპისკოპოსმა გორგო ალადაშვილმა მთავარანგელოზთა მიქაელისა და გაბრიელის სახელზე. ტაძარი 1941 წლის ოქტომბრიდან 1944 წლის აგვისტომდე დაკეტილი იყო; 1944-1946 წლებში მწვანეყვავილას ეკლესია ქუთაის-გაენათის ეპარქიის საკათედრო ტაძარს წარმოადგენდა (მხედვე 1985: 3-4).

ჩემს ბავშვობაში ტაძრის წინამძღვარი იყო დეკანოზი ინდისი (ნუცუბიძე) - ეს ის ინდის ნუცუბიძეა, რომელიც კათოლიკოს-პატრიარქილია მეორის ინტრონიზაციის კადრებში დიაკონია. ხუთი წლისა ვიყავი, როცა პირველად მომიყვანეს ამ სავანეში. მაშინ ქუთაისში სამიოდე მოქმედი ტაძარი თუ იქნებოდა და მათ შორის - მწვანეყვავილაც. აქ იკრიბებოდა ქუთაისისა და ახლომდებარე სოფლებიდან ჩამოსული მრევლი, არცთუ მცირერიცხოვანი. ყველას სახე მიდგას თვალწინ, როგორ მეფერებოდნენ, მლოცავდნენ. ერთადერთი ბავშვი ვიყავი, წირვა-ლოცვაზე რომ იდგა. ფაქტობრივად, ჩემი ემოციური თუ კოგნიტური განვითარებაც ამ ადგილადან დაიწყო. მოუთმენლად ველოდი ყოველი კვირის გათენებას. ბებიაჩემის დაძმები ოჯახებით დადიოდნენ წირვაზე და გვიხაროდა ერთმანეთობა. მახსოვს ტაძრის მსახურებიც: მგალობელი ანიკო და ზინაიდა, მედავითნე ანა და მამა ვახტანგ ასათიანის ოჯახი, მამა ინდისი, მამა დავითი და მამა გრიგოლი, ეკლესიის თავმჯდომარე ბაბულია... სტიქაროსნობას ვერ ვბედავდი, კრძალვა და რიდი მქონდა, მაგრამ მნათე ვიყავი, რკინის მიხე-

ულ-მოხვეული ვიწრო ავარიული კიბით ავდი-ოდი სამრეკლოზე და ვაგუგუნებდი ზარებს. რამდენჯერმე ბებიაჩემიც ამომყვა. როცა ზა-რებს რეკავ, 300 ანგელოზი თავზე დაგყურებ-სო - მითხრა. გამუდმებული თავის ტკივილი ანუხებდა და იმედი ჰქონდა, რომ წირვის დროს დარეკილი ზარები შვებას მოჰვრიდა.

მაშინ ეკლესიური ცხოვრება სუდარაგადა-ფარებული იყო (როგორც თავის დროზე მსოფ-ლიო პატრიარქმა თქვა ათონის სამონასტრო ცხოვრების შესახებ), მაგრამ მწვანეყვავილა-ზე, ქუთათელ-გაენათელის ლოცვა-კურთხე-ვით, ღვთის სიტყვას ქადაგებდა სწორედ ბები-აჩემის ძმა - რაუდენი (რატომლაც მღვდლები მაშინ ამბიონიდან არ გვმოძღვრავდნენ), რო-მელიც მედავითნე იყო ამავე ტაძრისა. ყოველ წირვაზე, განიცადენის დროს, ის განმარტავდა წაკითხულ სახარებასა და, გაბრიელ ეპისკო-პოსის ქადაგებათა მიხედვით, - სამოციქულოს. ამიტომ მრევლმა იმატა მწვანეყვავილაზე. იმ მძიმე დროში რაუდენმა ბევრი რამ გააკეთა ეკ-ლესის აღორძინებისთვის. ბოლშევიკური რე-ჟიმის პირობებში იმერეთში აღადგინა არაერ-თი გაუქმებული ეკლესია. არ არის ძნელი მი-სახვედრი, რა სირთულეებთან იქნებოდა ეს

დაკავშირებული. უფრო მეტიც, მრევლის შემოწირულობით სოფელ გოდოგანში მან ააგო ახალი ტაძარიც კი, რომელშიც, თანასოფლელების მოთხოვნით, მიუჩინეს საუკუნო განსასვენებელი.

ადრე დაქვრივდა ბებიაჩემი. 1941 წელს ომში გაიწვიეს მისი ლვილისმგმობელი მეუღლე (სოფლის ეკლესიიდან ხატები ჩამოუყრია და დაუწვავს). დარჩა სამი წლის ერთადერთი შვილი (დედაჩემი) და ავი დედამთილი (როგორც თავად ამბობდა). წვალებითა და გაჭირვებით გაზარდა დედისერთა ლილი, გაათხოვა, ქორწილიც გადაუხადა და, როცა მაყრიონი დაიძრა, გაიცხადა, შეიკივლაო. მარტო რჩებოდა ამ სამყაროში. შვილი იყო მისი ერთადერთი იმედი და ნუგეში, გაუჭირდა მასთან განშორება. ქორწილისთვის უჩვეულო კივილი კი, როგორც ჩანს, ერთგვარი წინათგრძნობა იყო იმისა, თუ რა “სალხინებელსაც” უმზადებდა ბედისწერა.

საიდანაც ჩემი მახსოვრობა იწყება, ბებიაჩემს აღარ ჰყოლია არც ქათამი (მეღა და ვირთხა უნადგურებდა), არც ძალლი (ლამით რომ დაიყეფს, უფრო შემეშინდება, მეგონება, ვიღაც მომადგაო), არც ძროხა (უკვე მოვლა აღარ შეეძლო), არც რადიო, არც ტელევიზორი

(იტყოდა ხანდახან: რადიო მაინც რომ მქონდეს, ადამიანის ხმას გავიგონებდი და იმედი მომეცემოდაო). ირგვლივ აღარც მეზობლები ცხოვრობდნენ. მოშორებით იდგა მასზე გაცილებით ასაკოვანი ნინა ბებიას (ისიც მარტო ცხოვრობდა, 101 ნლისა გარდაიცვალა) სახლი. წყალს შორიდან ეზიდებოდა. მოკლედ, ნამდვილი შეუმოსავი მონაზონივით ლოცვასა და შრომაში ატარებდა წუთისოფელს. მარტომბის ბინადარი იყო და უძლებდა ამ ჯოჯოხეთს! ცხოვრობდა იმ იმედით, რომ ვინმე დაურღვევდა ამ მარტომბის უნივერსალურ კანონს, თუმცა ეს ლოდინი ხანგრძლივი და მძიმე იყო, რადგან მე მხოლოდ ზაფხულობით შემეძლო მასთან დარჩენა...

ფეხით დადიოდა ყველგან. მანქანაში ვერ ჯდებოდა, თვპრუ ეხვეოდა და ლებინება ეწყებოდა. უთენია დგებოდა ყოველ კვირა დილით და წირვაზე დასასწრებად სორმონიდან ქუთაისში მწვანეყვავილას ეკლესიაში მიდიოდა, თანაც იქ დაძმები ხვდებოდნენ ერთმანეთს. მზეს ვერ იტანდა (ჩემსავით). ამიტომ, ზამთარზაფხულ შავი ქოლგით დაიარებოდა. როცა კოლექტივის ნევრი იყო და ფიზიკური შრომა შე-

ეძლო, მაშინაც ქოლგით კრეფდა ჩაისო - იგონებდნენ მეზობლები. ამ ქოლგას სხვა ფუნქციაც ჰქონდა - ასე უთენია ქალაქში მიმავალს ძალლები რომ დაინახავდნენ, დაედევნებოდნენ და ისიც ქოლგით იგერიებდა, თავს იცავდა. ერთხელ გზაზე ყელგამოჭრილი კაციც ნახა, რამდენიმე წუთით გაასწრეს მკვლელებმა. ადვილი წარმოსადგენია, რა დღეში ჩავარდებოდა.

ზაფხულობით მასთან ვიყავი. მართალია, მაშინდელი სამყარო არ იყო ასე გლობალურად დატვირთული სხვადასხვაგვარი ადიქციით. რაც მთავარია, არაფერი ვიცოდით კომპიუტერის შესახებ და, შესაბამისად, არც ინტერნეტ-დამოკიდებულება არსებობდა. არ ვიყავით გაორებული რეალურსა და ვირტუალურს, პროცესსა და შედეგს შორის, მაგრამ მაინც ყველას უკვირდა, როგორ ვძლებდი მოხუცების გარემოცვაში, ამ სრული დეპრივაციის პირობებში - ინფორმაციულ ვაკუუმში. იმთავითვე დამოუკიდებელი და თავისუფალი ვიყავი, ამიტომ არც “არას” თქმა გამიჭირდებოდა, მაგრამ არ ვგრძნობდი არანაირ დისკომფორტს იმ გარემოში, რომელშიც ცხოვრობდა ბებიაჩემი. ერთად მივუყვებოდით ფეხით მწვანეყვავილას

ეკლესიამდე ათკილომეტრიან გზას. მეუბნებოდა: რამდენ ნაბიჯსაც გადადგამ, იმდენ მადლში ჩაგეწერებაო და გახარებული ვითვლიდი ჩემს ნაბიჯებს. გულხარბი ვიყავი და ბევრი მადლი მინდოდა დამეგროვებინა. მე-20 საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისში უღმერთობის ეპიქაში, კომუნიზმის გაფურჩქვნის მოლოდინში მყოფ საბჭოეთში ეს იყო ერთადერთი ფაქტი, ალბათ, სოფლიდან ქალაქამდე სალოცავად ფეხით მოსიარულე ბებია-შვილიშვილისა.

ლოცულობდა დილით და სალამოს, ჭამის წინ და ჭამის შემდეგ. მკაცრად ემზადებოდა ზიარებისთვის. წელიწადში, ორჯერ თუ ეზიარებოდა. ისე გაშინაურებული ევქარისტიის საიდუმლოებასთან, როგორც არიან ჩვენი დროის მორწმუნენი, არ იყო. ზიარებამდე სამი დღით ადრე დღეში ერთხელ ვჭამდით, მხოლოდ სადილს და ისიც - უცხიმოსა და უმარილოს². როგორი ბედნიერი ვიყავი მის გვერდით!

² ეკლესიური ცხოვრება ინერციით მიდიოდა. როცა აღსარების ჩასაბარებლად ვემზადებოდი, ვკითხე, რა ვუთხრა მოძღვარს-მეთქი. არც ცოდვათა ჩამონათვალი არსებობდა და არც თავად

თითქოს ეს მარტოობაც მხიბლავდა და უფრო ის, რომ ჩემი იქ ყოფნით ვუმსუბუქებდი ცხოვ-რებას. როცა წამოვიზარდე, ფეხით კი მივყვე-ბოდი, მაგრამ ქალაქიდან უკვე ავტობუსით

მოძღვრები გვეკითხებოდნენ გამოჩერეკით ჩვენს ცოდვებს. ბებიამ დამარიგა, ასე უპასუხე: ყოველნაირად დამნაშავე ვარ უფლის წინაშეთქმ! ეკლესიას გარს სამჯერ შემოვუვლიდით და გულში „უფალო, შეგვინყალენს“ ვამბობდით; ზარების რეკვისას ვიტყოდით: „გვესმის, უფალო, შენი ხმა, მოგვესმა, უფალო, შენი ხმა!“; აღსავლის კარები რომ გაიხსნებოდა, უნდა გვეთქვა: „მეუფეო, გაგვიხსენ ზეციერი ცხოვრების კარები“, დახურვისას: „მეუფეო, ნუ დაგვიხშავ ზეციერი ცხოვრების კარს“. მიცვალებულთოვის სანთელს მაშინ ვანთებდით, მართალთა ლიტურგია რომ დაიწყებოდა, „რომელი ქერუბიმთას“ გალობა; „შენ გიგალობის“ დროს ჩამოვთვლიდით ქრისტეს მიწიერი ცხოვრების ეტაპებს: ქრისტეს შობა, წინადაცვეთა, მირქმა, ნათლისლება... როცა გუნდი „მამაო ჩვენოს“ გალობას დაიწყებდა, დავიჩოქებდით და მარჯვენა ხელს მარცხენაზე დავიდებდით ჯვრის ფორმით ისე, როგორც ქრისტეს აქვს გეთსიმანის ბალში ლოცვისას - ასეთი იყო საეკელსიო გადმოცემითი სწავლება მრევლში მინავლული.

ვბრუნდებოდი. რასაც იყიდდა, მომქონდა, რომ
თავად ტვირთის გარეშე ემგზავრა.

დავყავდი სოფლის გაუქმებულ და დანგრე-
ულ ტაძრებში. თვითონ ცოცხს წამოიღებდა,
დაგვიდა, მაგრამ, რადგან საკურთხეველში ქა-
ლის შესვლა არ შეიძლებოდა, იქაურობას მე
მალაგებინებდა. ჩვენს სიგრძე თაფლის სანთ-
ლებს ანთებდა გელათსა და მოწამეთაში, მწვა-
ნეყვავილაზე, სორმონის სამებაში... ასე მაზია-
რა ხუთი წლიდან ეკლესიურ ცხოვრებას, უბ-
რალოებას, შრომასა და სიმართლის სიყვა-
რულს. დღესაც მჯერა, რა საქმესაც უნდა აკე-
თებდეს ადამიანი, როგორი ქველმოქმედიც
უნდა იყოს, თუ ის სიმართლით არ ცხოვრობს,
ამაო და დაკარგულია ყოველგვარი ღვაწლი.
ამიტომ, დავით მეფისა და წინასწარმეტყვე-
ლის სიტყვები ჩემთვის ცხოვრების პრინციპია:
**“ნეტარ არიან, რომელთა დაიცვან სამართა-
ლი და ყონ სიმართლე ყოველსა ჟამსა”**
(ფსალ. 105, 3). არადა, ქართველი კაცი როგორ
უფრთხის ამ სიმართლესა და სამართლიანო-
ბას?! ჩვენში ხომ იმთავითვე შერისხული იყო
ცხოვრების ასეთი წესი. დასტურად ორი ანდა-
ზაც საკმარისია: “სიმართლის მთქმელს ცხენი

შეკაზმული უნდა ჰყავდეს” ან “სიმართლის
მთქმელს ენა მოჭრესო”.

არ ვიცი, ვისთვის იყო ფუფუნება და განცხ-
რომა კომუნისტური რეჟიმი. ჩემ ირგვლივ და-
უძლეველი სიღარიბე ბოგინობდა, - გაჭირვება,
ხმელა პური, “არქონობა” - როგორც ბებიაჩემი
იტყოდა...

ერთი სიმღერისა არ იყოს, “ბავშვობაში წი-
თელა რომ შემეყარა”, მთელი ოჯახი ფეხზე
დადგა, ბატონები ბრძანდებაო. წითელა მქონ-
და და ამიტომ სახლი ფერადი ფერებით მორ-
თეს, წითელი ბუშტებიც მომიტანეს. დიდი ბა-
ტონების პატივსაცემად გაშლილი იყო ტაბლა,
რომელზეც ეწყო ტკბილეულობა და ცომისა-
გან დამზადებული რაღაც ფიგურები (მგონი,
ჩემმა ბიძაშვილმა გააკეთა). როგორც წესი,
ავადყოფის სურვილი უყოყმანოდ სრულდე-
ბოდა. საკმაოდ გამირთულდა დაავადება. მე-
ზობელი მოვიდა, ქალაქში მივდივარ და რას
დამაბარებ, რას ინებებო - დაკითხვა მომოწყო
მობოდიშებითა და მოფერებით. მინდოდა მეთ-
ქვა, პიანინო მიყიდეთ-მეთქი, მაგრამ ვიცოდი,
ოჯახს ამის საშუალება არ ჰქონდა და ხმა არ
გავიღე!

დრო გადიოდა და უკეთესობა არ მეტყობოდა. სასწრაფოდ გადმოიყვანეს სორმონიდან ოლია ბებიაც. მაღალი სიცხე მქონდა, მაგრამ რა დამავიწყებს იმ ერთ საღამოს, როცა საოც-რება დაიბადა ჩემ თვალწინ. რადგან “ბატონებია გამჯავრებულია” (ასე ეძახდნენ დაავადების გართულებას), მათი გული უნდა მოვიგოთო და კონცერტი გამიმართეს! მასში მონაწილეობდა ყველა, ვისაც როგორ შეეძლო. ჩვენი ოჯახი მუსიკალური იყო. ოთხი ინსტრუმენტი გვქონდა შინ. დედაჩემმა წითელბაფთიანი გიტარა გადმოიღო და თავისი შაირები დაამღერა:

შაირები ბევრი ვიცი
ოქრო ვარ გამონანილი,
ბიძაშვილი გაგიკოცნე
ლოგინზე წამონოლილი.

მე ისეთი ჩიტი მიყვარს,
მაღლა-მაღლა ფრინავდესო,
იმ ოთახში შემიყვანდეს,
სადაც ჩემს ბიჭს სძინავდესო.

ბიჭო, ბლუზა შეგიკერავს,
მოუკელი განსო,
დედაშენი ვერ იშოვის
ჩემისთანა რძალსო.

ბიჭო, შენი თეთრი ბლუზა
კერვაგაუთავებელი,
უბედური შენი გოგო,
შენგან გაუხარებელი.

მიყვარხარ, ბიჭო, მიყვარხარ,
თავირად სტკივა სხვასაო,
შენ შემოგწირავ სიცოცხლეს,
შემოგევლები თავსაო!

ერთხელ ბაღში დაგინახე,
კოხტა ხელით ვარდსა კრევდი,
მთვარეს ჰეგავდა შენი სახე
და მზესავით მანათებდი.

მე ერთხელ რომ დაგინახე,
მომენტი შენისახე,
და იმ დღიდან, გენაცვალე,
სიყვარული დავინახე.

დედამთილო, ხომ გითხარო,
სარჩული სჯობს საპირესო,
სიცილით რომ მომიყვანე
ახლარალა გატირებსო?!

ვენაცვალე ჩემს დედამთილს,
ბატიუსუქებია,
გაუზრდია კარგი შვილი,
ჩემთვის უჩუქებია!

ვენაცვალე ჩემს დედამთილს
გამოსახედ თვალებში,
იმან მე ამომირჩია
გასათხოვარ ქალებში.

დედამთილო, დედაო,
შენ დეგეცა ბნედაო,
შენიშვილი ჩემი არი,
შენ რა გენალვლებაო?!

სიყვარული ტანჯვა არის,
არასრული ნეტარება,
მაგრამ მაინც ყველას გული
ამ სატანჯველს ეტანება.

თუ არ გინდა, ცრემლი ღვარო,
თუ არ გინდა, დაიჩაგრო,
კარგად თუ არ დაუკვირდი,
ისე არვინ შეიყვარო!

სიყვარული არის ორი:
ერთი ტკბილი, ერთი მწარე,
ჩემთვის რომელს გაიმეტებ, -
ეს მითხარი, გენაცვალე!

სიყვარული რომ ორია,
მეც ვარ მაგის თანახმა,
მთელ ქვეყანას მირჩევნია
ჩემი ბიჭის დანახვა.

რა კარგია არემარე,
ზედ დაჰყურებს ბადრი მთვარე,
გულახდილად უნდა გითხრა,
რომ მიყვარხარ, გენაცვალე!

რა კარგია, როცა მთიდან,
მოჩუხჩუხებს ცივი წყარო,
რა კარგია, როცა ვაჟი
ჩუმად გეტყვის, მიყვარხარო!

რა კარგია, ხის კავლის ქვეშ
ქარი ქროდეს, წვიმა წვიმდეს,
მე გავიხდი, შენ ჩაგაცმევ,
ჩემო გოგო, არ შეგცივდეს.

რა ლამაზი ვარდის შტო ხარ,
მებრალები მარტორომ ხარ,
დედარომ გამომიშვებდეს,
უეჭველად შენთან მოვალ.

ჭყინტი ყველის ჭამა მიყვარს,
ღვინოც მიყვარს ხვანჭკარაო,
ვენაცვალე, ვისი გულიც
სიყვარულით დამთვრალაო!

მამაჩემის დედა, დონია ბებია - ამაყი და
ლირსების გამძაფრებული გრძნობის მატარე-
ბელი, სასთუმალთან მიჯდა და იავნანას მიმ-
ღეროდა. “ნანინეია, დიდო ბატონო” - ახლაც
ყურში მესმის მისი ხმადაბალი და მორცხვი
პირველი ხმა. მაშინ ის 80 წლის მაინც იქნებო-
და. ყველას გაგვიხარდა, ბატონებით შეპყრო-
ბილსაც და სხვებსაც, მაგრამ მისი სიმღერა არ
გაგვკვირვებია - სიცოცხლის მოტრფიალე
იყო, თავმომწონე და არისტოკრატული.

ცნობილია, რომ ბატონებისადმი მიძღვნილ
რიტუალში ყოველთვის ჩართული იყო ცეკვაც.
ამიტომ, დედაჩემმა ყველას სთხოვა: ბატონებს
უცეკვეთო. თავადაც იცეკვა, მეზობლის ბავშ-
ვებიც აჰყვნენ. მერე ოლია ბებიას, სასხვათა-
შორისოდ, უთხრა: შენც იცეკვეო. და უცბად
გავხდით საოცრების მონაწილე - ბებიაჩემი წა-
მოდგა. ის გიტარაზეც კარგად უკრავდა, მაგ-
რამ არ მღეროდა, მხოლოდ გალობდა, თანაც -

ხმადაბლა. თურმე მის ბავშვობაში გოდოგანში ქალაქიდან ცეკვის მასწავლებელი ჩამოსულა და სოფლის გოგო-ბიჭებისათვის საცეკვაო ილეთები უსწავლებია. ბებიაჩემი ტანდაბალი, გამხდარი და მოქნილი ქალი იყო. როგორც მე-რე გაგვანდო, კარგად ავითვისე და მასწავლებელიც მაქებდა, ყველაზე კარგად ცეკვავო. და ამ ცხოვრებისგან გატანჯულმა ქალმა, ათასგვარ ვარამსა და უბედურებაში გამოვლილმა (როგორც თვითონ იტყოდა: წისქვილის ქვა არ დატრიალებულა ჩემს თავზე, თორემ სხვა არა-ფერი დაუკლია წუთისოფელსო), თითქმის 60 წლის შემდეგ ბავშვობის ის ცეკვა გაიხსენა და ჩემ თვალწინი გაცოცხლდა გასაოცარი მოძრაობები, დახვეწილი პლასტიკური ნახაზები, ღრმა შინაარსით დატვირთული, რაღაც დრა-მატურგიული ფუნქციის მქონე მიხრა-მოხრა, მეტყველი და რიტმულად ორგანიზებული. სა-თამაშო მელოდიას ფანდურზე დედაჩემი უკ-რავდა - ეს იყო მაქსიმუმ სამწუთიანი ცეკვა, ესთეტიკურად ცოცხალი სინამდვილის გა-მოცხადება, მისი შინაგანი სამყაროს მთლიანობის ქორეოგრაფიულ ენაზე ამეტყვე-ლება. გაოცებული შევცეკეროდით და არ გვჯე-

როდა, რომ წითელა ბატონების გულის მოსა-
გებად თავის სიცოცხლეში ამდენი ხნის შემ-
დეგ და უკანასკნელად ცეკვავდა ბებია და ამ
ცეკვაშიც კი დიდი ტკივილი იყო დაუნჯებული,
- მისივე ნატურის ანაბეჭდი.

მისი ცხოვრება, მართლაც, იყო ხიდგაღმა
დაწერილი და ძნელად ნასაკითხი წიგნი!

დღესაც კი ყოველ მოხუცში, ყველა ბებიაში
დავეძებ. ის მაინც არავის ჰგავს - დიდი ტანჯ-
ვით, უთქმელი დარდით...

არ მახსოვს დაყვირება, გაბრაზება, წყენა...
ცრემლსაც კი არ მანახვებდა. სორმონში ჩვენი
ერთად ყოფნის ბოლო ზაფხულიც თვალწინ
მიდგას. აღარ მინდოდა უნივერსიტეტში წა-
მოსვლა. მისი მოვლა, მასთან ყოფნა უფრო
დიდ საქმედ მიმაჩნდა. მერე ცივ ნოემბერში
შევხვდით უკანასკნელად, სუსხიანი და წვი-
მიანი დღე იყო. მოვიხედე. მისი გამჭოლი მზე-
რა მომყვებოდა. ასე დავშორდით!

იდგა 1994 წლის ცივი თებერვალი. მე-20 სა-
უკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიის
გამოცდა 2 თებერვალს მქონდა დანიშნული
პროფესორ ტარიელ კვანჭილაშვილთან. პირ-
ველში კი დეპეშა მივიღე, მგონი ჩემი ძმა მიგ-
ზავნიდა: “ჩამოდი, ოლია ბებია გარდაიცვალა”.

დღო გაჩერდა!

მაშინვე მივატოვე გამოცდები. სამი დღე მა-ტარებელში ვიყავი გაჭედილი, დიდთოვლობის გამო. მხოლოდ ბოლო პანაშვიდზე ჩავედი სორმონში...

23 წელი გავიდა მას შემდეგ. ღმერთია მონა-მე, ამ ხნის განმავლობაში არ დალამებულა არც ერთი დღე უცრემლოდ, გამანადგურებელი მო-ნატრების მწვავე გრძნობის გარეშე. ვერ და-ვამთავრე გლოვა, მოთქმა, გოდება, უხმო ტი-რილი თუ ხმით ნატირალი. როცა ცხადში ვერ ვახერხებდი, ძილში ვტიროდი მთელი ხმით. ბევრია ამისი მონამე (ჩემს მეზობლებს აღვი-ძებდათ ღრიალი).

თურმე სიკვდილის წინ მანდარინი მოინატ-რა, მოუტანეს, მაგრამ უკვე გვიანი იყო... ამის შემდეგ მანდარინზე, საერთოდ, უარი ვთქვი. ერთხელ, საახალწლოდ, ანა კალანდაძეს ვენ-ვიე. ხშირად მახსენდებოდა სტრიქონები მის მიერ 1945 წელს დაწერილი ლექსიდან “მო, მო-მეფერე, ჩემო ბებია”:

“რად სევდიანნი შენს სარკმელთან დგანან არყები?

კაეშანიდაუფლებიათ?

ისას შემვედრე, გარდამსახეპირჯვარი შენი,

მო, დამიამე, მითხარ, მიამბე კაეშნით მოცულს
და ობლად შთენილს
დამიყვავე და მომეფერე, ჩემო ბებია”.

საუბარში ეს ლექსიც ვახსენე. უფრო მამი-
დაჩემზე (ვერა ბუდინსკაია) დავწერეო, - მითხ-
რა. უცბად მანდარინს დაავლო ხელი და გამო-
მიწოდა. ცრემლი წამსკდა. თავად დაიბნა. მი-
ზეზი რომ ვუთხარი, “თვალგანაწვიმები” და-
რჩა.

ალბათ, თუ რამ შემომრჩა რწმენის, სიყვა-
რულის, სინმინდის, უილბლობისა თუ მარტო-
სულობისა, ყველაფერი ოლია ბებიასაგან
მაქვს და, თუ ოდესმე კიდევ რამე შევძელი ამ
ცხოვრებაში, წმინდა ბარბარეს სახელზე ეკ-
ლესიას ავაშენებ მისი სულის საოხად. წერა
რომ შემეძლოს, ბევრ ლექსს ან რომანს მი-
ვუძღვნიდი; არც ხატვა მეხერხება და, სამწუ-
ხაროდ, ვერც რეკვიემს შევქმნი. ეს მაგიური
პოეზია - ცრემლით ნაწერი მისი გამოლოცვე-
ბის პატარა წიგნი კი მხოლოდ იმაში მეხმარება,
რომ დარდსა და ტკივილს გავუძლო...

SABA METREVELI

THE DISENCHANTMENT SPELLS

Summary

The main difference between praying and deliverance prayer is that the latter is associated with ritual – the act that empowers it. Deliverance stems from actions and it demands the dynamics. Words, actions, mimics, gestures, whispers, mumbles are what represents deliverance. It contains past, present and future altogether. The past is connected with the being haunted by the evil spirits, being ill, sickness. The present is marked by the mumble of the faith healer. And the future is emerged in the expectation of resurgence.

Faith healer does not use icons or candles and never takes people to church. The place, type and purpose of the prayer is distinctive. Faith healer is more mundane, while believers pray with different perspective as they lead the way towards the God, the prayer of the latter is based on the eternal bliss.

Rituals of the faith healers are full of dynamics rather than statics of the prayer. They are occupied with something which influences those whom they pray for.

Mostly these kinds of prayers are repeated three times that is originated from the Christian canon. Acts and rituals are the part of the holy sacraments as well. There are special rites, such as Washing the Feet, Christening, sanctification of water that require strict rules and regulations. Besides, the holy Church executes special prayers such as exorcism.

The prayer for exorcism casts the devil out, while there are other special deliverance prayers named as "for liberating from the evil spirits". Symbol of these deliverances is a black-handled knife which replaces a lance. Black-handled knives are actively used in this process, not only with the scared or cursed, but with other people as well.

Three components are dominant and vital for the structure of deliverance prayer, these are: words, acts(ritual) and mumbles.

დამონზებანი:

- აბულაძე 1973: აბულაძე ი., ძველი ქართული ენის ლექსიკონი, მასალები [რედ. ე. მეტრეველი და ც. ქურციკიძე]. თბილისი: გამომცემლობა “მეცნიერება”, 1973.
- აღწერილობა, III, 1948: ხელნაწერთა აღწერილობა, ტ. 3 /შედგენილია და დასაბეჭდად დამზადებული ქრისტინე შარაშიძის ხელმძღვანელობითა და რე-დაქციით/. თბილისი: გამომცემლობა “საქ. სსრ მეცნ. აკად. გამომცემლობა და სტამბა”, 1948.
- ახვლედიანი 1978: ახვლედიანი გ., შელოცვები ძველ ქართულ ანთოლოგიებში. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, N4, თბილისი, 1978.
- ბარდაველიძე 1979: ბარდაველიძე ჯ., ქართული შელოცვების ლექსთნიკობა. ქართული ფოლკლორი (სტრუქტურა და პოეტიკა), ტ. 9, თბ., 1979.
- ბოჭორიძე 1995: ბოჭორიძე გ., იმერეთი. თბილისი: გამომცემლობა “მეცნიერება”, 1995.
- ბაყაშვილი 2003: ბაყაშვილი მ., წყევლა-ლოცვის შედეგები კავკასიურ ფოლკლორში. კავკასიის მაცნე, 8, თბილისი, 2003.
- ბეგიაშვილი 1941: ბეგიაშვილი თ., ქართული ფოლკლორი. თბილისი: სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1941.

- გაგულაშვილი 1986: გაგულაშვილი ი., ქართული მა-გიური პოეზია. თბილისი: გამომცემლობა “თბილი-სის უნივერსიტეტის გამომცემლობა”, 1986.
- გველი მოვკალ... 1992: გველი მოვკალ უფლისათვის - ქართული შელოცვები, წიგნთა და ხელნაწერთაგან გამოკრიბა მიხო მოსულიშვილმა, რედაქტორი ამი-რან არაბული. თბილისი: გამომცემლობა “ილია”, 1992.
- დადიანი... 2001: დადიანი ე., ნაკანი ნ., ფუტკარაძე ტ., ხაჭაპურიძე რ., შელოცვების ენა ქართველური დიალექტების მონაცემთა მიხედვით. ქართველური მემკვიდრეობა, ტ.5, ქუთაისი, 2001.
- დაუჯდომელი 2003: დაუჯდომელი საგალობელი ყოვლადწმიდისა სამებისა. განთავსებულია 2003 წლიდან, მისამართი: <http://www.orthodoxy.ge/lotsvaniani/akatisto/sameba.htm>.
- დიდი კურთხევანი 2002: დიდნი კურთხევანი. გამო-საცემად მოამზადა, გამოკვლევა და სქოლიოები და-ურთო ედიშერ ჭელიძემ. თბილისი, 2002.
- კაკაბაძე 1921: კაკაბაძე ს., დასავლეთ საქართვე-ლოს საეკლესიო საბუთები, I. თფილისის უნივერსი-ტეტის გამოცემანი, 1921.
- კალენდარი 1996: საქართველოს ეკლესიის კალენ-დარი, თბილისი, 1996.
- კეკელიძე 1980: კეკელიძე კ., ძველი ქართული ლი-ტერატურის ისტორია, ტომი პირველი. თბილისი: გამომცემლობა “მეცნიერება”, 1980.

- კიკნაძე 2008: კიკნაძე ზ., ქართული ფოლკლორი. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემ-ლობა, 2008.
- კოჭლამაზაშვილი 2002: კოჭლამაზაშვილი ე., დიდი სინური კურთხევანის რედაქციული თავისებურებანი. კოდიკოლოგიურ-ლიტურგიკული ნარკვევი, თბილისი, 2002.
- ლექსიკონი 1990: ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი. ერთომეული. ნაკვეთი პირველი, ნაკვეთი მეორე, თბილისი: გამომცემლობა “ქართული ენციკლოპედიის მთავარი სამეცნიერო რედაქცია”, 1990.
- ლოცვანი 2003: ლოცვანი. განთავსებულია 2003 წლიდან, მისამართი: <http://www.orthodoxy.ge/lotsvani.htm>.
- მაკალათია 1941: მაკალათია ს., სამეცნიერო სისტორია და ეთნოგრაფია. თბილისი, 1941.
- მამისიმედიშვილი 2005: მამისიმედიშვილი ხ., ქისტური შელოცვები და მაგიური ტექსტები [პანკისელი ქისტების ზეპირსიტყვიერებიდან]. ლიტერატურული ძიებანი. ტ. 26, თბილისი, 2005.
- მახაური 2011: მახაური ტ., ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული ნარკვევები. წ. 3, თბილისი: გამომცემლობა “უნივერსალი”, 2011.
- მხეიძე 1985: მხეიძე მ., მხეიძე ნ., მწვანეყვავილას მწვანე ბორცვებზე. ქუთაისი, გამომცემლობა “საბჭოთა საქართველოს ქუთაისის ფილიალი”, 1985.

- ნათლობის წესი 1996: ნათლობის წესი. საქართველოს ეკლესიის კალენდარი, თბილისი, 1996.
- ნიკოდიმოსი 2003: ნიკოდიმოს მთაწმინდელი, უხილავი ბრძლა (ნაწილი პირველი). განთავსებულია 2003 წლიდან, მისამართი:

http://www.orthodoxy.ge/tserilebi/brdzola/1_47-50.htm.
- ორბელიანი 1991: ორბელიანი ს., ლექსიკონი ქართული, ტ. 1, /მოამზადა... ილია აბულაძემ [რედ.: ელ. მეტრეველი, ც. ქურციკიძე], თბილისი: გამომცემლობა „მერანი”, 1991.
- ორბელიანი 1993: ორბელიანი ს., ლექსიკონი ქართული, ტ. 2, /მოამზადა... ილია აბულაძემ [რედ.: ელ. მეტრეველი, ც. ქურციკიძე], თბ. გამომცემლობა „მერანი”, 1993.
- ოქროშიძე 1955: ოქროშიძე თ., შელოცვის უძველესი ქართული ტერმინი. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. 16, № 2, თბილისი, 1955.
- პარაკლისი 2003: პარაკლისი ყოვლადწმიდისა ღმრთისმშობელისა. განთავსებულია 2003 წლიდან, მისამართი: <http://www.orthodoxy.ge/lotsvani/paraklis/gvtismshoblis.htm>.
- სარჯველაძე 2001: სარჯველაძე ზ., ძველი ქართული ენის სიტყვის კონა. თბილისი: გამომცემლობა „სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის გამომცემლობა”, 2001.
- სვიმეონი 1991: წმიდა სვიმეონ ახალი ღვთისმეტყველი, სიყვარულის შესახებ. წიგნში სიტყვა მართლისა

სარწმუნოებისა, II, თბილისი: გამომცემლობა “მერანი”, 1991.

- სიხარულიძე 1976: სიხარულიძე ქს., ქართული ფოლკლორის ისტორიისა და თეორიის საკითხები. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1976.
- სულაძე 1997: სულაძე მ., შელოცვები და ასტროლოგიური ემბლემატიკა [შელოცვებისა და ასტროლოგიურ ნიშანთა სიმბოლური გააზრება]. ჟურნ. “ცისკარი”, N12, თბილისი, 1997.
- სწავლანი 1955: მამათა სწავლანი. X და XI საუკუნის ხელნაწერების მიხედვით გამოსცა ილია აბულაძემ. თბილისი: გამომცემლობა “მეცნიერება”, 1955.
- ტერმინები 2011: ტერმინები. განთავსებულია 2011 წლიდან, მისამართი: <http://martimadideblobage/terminobi25.html>.
- ტურაშვილი 2010: ტურაშვილი მ., თანამედროვე ქართული ნარატიული ფოლკლორი. თბილისი: ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2010.
- უმიკაშვილი 1964: უმიკაშვილი პ., ხალხური სიტყვიერება [4 ტომად], ტ. 4. თქმულებები და ლეგენდები, საყოფაცხოვრებო-ნოველისტური ზღაპრები, მახვილისიტყვაობა, მაგიური ტექსტები, შემკრების არქივიდან. თბილისი: გამომცემლობა “ლიტერატურა და ხელოვნება”, 1964.

- ქურდოვანიძე 2001: ქურდოვანიძე თ., ქართული ფოლკლორი. თბილისი: გამომცემლობა “მერანი”, 2001.
- ქურდოვანიძე 2008: ქურდოვანიძე თ., ქართული ხალხური სიტყვიერების სპეციფიკა და უანრები. თბილისი: გამომცემლობა “მნიგნობარი”, 2008.
- შიომვილი 1994: შიომვილი თ., ქართული ხალხური შელოცვები. ბათუმი, აჭარის უურნალ-გაზეთების გამომცემლობა, 1994.
- ჩიქოვანი 1956: ჩიქოვანი მ., ქართული ხალხური სიტყვიერების ისტორია. თბილისი, სამეცნიერო მე- თოდური კაბინეტის გამომცემლობა, 1956.
- ჩიქოვანი 1975: ჩიქოვანი მ., ქართული ხალხური სიტყვიერების ისტორია. თბილისი: გამომცემლობა “თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა”, 1975.
- ცანავა 1979: ცანავა აპ., მაგიური პოეზიის სტრუქ- ტურის ზოგიერთი საკითხი. წიგნში “სტრუქტურა და პოეტიკა, ქართული ფოლკლორი, IX, თბილისი: გა- მომცემლობა “მეცნიერება”, 1979.
- ცინცაძე... 2013: ცინცაძე მ., ფირცხალავა ლ., ხალ- ხური შელოცვების ძალა. თბილისი, 2013.
- წმიდანი მკურნალნი 1998: წმიდანი მკურნალნი და მეოხნი ჩვენნი წინაშე ღმრთისა /შეკრიბა... მიქაელ ჭაბაშვილმა, დაიბეჭდა რუსთველ მიტროპოლიტ ათანასეს ლოცვა-კურთხევით/, თბ., 1998.
- ჭელიძე PDF ვერსია: ჭელიძე ე., აპოკრიფულ წიგნთა ეფთვიმე ათონელისეული ინდექსი. მისამართი:

https://attachment.fbsbx.com/file_download.php?id=465693496832410&eid=ASuMfRN8kVlqzGDkZosQvsLleC1zWoUiKyNmClFOytMh75p43ZZgsAakRArBWwdpUw&inline=1&ext=1452429765&hash=ASuLMZTWZ5oZVWSX.

- ხაჭაპურიძე 1998: ხაჭაპურიძე რ., სამკურნალო ხასიათის შელოცვები, მათი შესრულების ტრადიცია ოკრიბაში. ქართველური მემკვიდრეობა, ტ.2, ქუთაისი, 1999.
- ხაჭაპურიძე 1999: ხაჭაპურიძე რ., სამეურნეო შელოცვების ქრისტიანული და ხალხური ასპექტები. ქართველური მემკვიდრეობა, ტ.3, ქუთაისი, 1999.
- ხაჭაპურიძე 2002: ხაჭაპურიძე რ., მეზობლებთან ისტორიული დამოკიდებულების ასახვა ქართული შელოცვების მიხედვით. ქართველური მემკვიდრეობა, ტ.6, ქუთაისი, 1999.
- ხაჭაპურიძე 2004: ხაჭაპურიძე რ., საკრალური რიცხვები შელოცვებში [შეპირისპირებითი ანალიზი დიალექტოლოგიის ინსტიტუტის მასალების მიხედვით (სამი, შვიდი, ცხრა...)]. ქართველური მემკვიდრეობა. 8, 2004.
- ხაჭაპურიძე... 2006: ხაჭაპურიძე ლ.; ხაჭაპურიძე რ., მკურნალობის მეთოდები და ტრადიციები ქართველ მართლმამდიდებელ მრევლში. ქართველური მემკვიდრეობა, ტ.10, ქუთაისი, 2006.
- ხაჭაპურიძე 2010: ხაჭაპურიძე რ., აბრაკადაბრები ქართულ შელოცვებში. ქართველური მემკვიდრეობა, ტ.14, ქუთაისი, 2010.

- ხახანაშვილი 1896: ხახანაშვილი ალ., კარაბადინში დაცული შელოცვანი. ჟურნ. “კვალი”, N15, თბილისი, 1896.
- ხახანაშვილი 1904: ხახანაშვილი ალ., ქართული სიტყვიერების ისტორია (უძველესი დროიდგან XVIII საუკუნის გასულამდე). წიგნი 1, ტფილისი: ქართველთა შორის წერა-კითხვის საზოგადოების გამოცემა, N65, 1904.
- ხელიძე 1865: მღვდელი გიორგი ხელიძე, მცირე შენიშვნა საეკულესიო აპოკრიფულის მწერლობისათვის. ჟურნ. “საქართველოს სასულიერო მახარებელი”, ტფილისი, დეკემბერი, 1865.



www.mtsignobari.ge

დაიბეჭდა შპს „მნიგნობარის“ სტამბაში
0102, ქ. თბილისი, კიევის ქ. 10; ტელ.: 294 05 71



გამოლოცვათა მთქმელი - ბარბარე გიორგელიძე

ISBN 978-9941-465-95-6



9 789941 465956